# ლელო

№ 30
(11 179)

18 – 21 აპრილი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომას უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

## ბათუმის იმედად დავრჩით – საფეხბურთო ცენტრი აჭარაში გადადის

**ამ ზაფხულს თბილისში ჩამოვლენ უეფას ჩინოსანი მოხელეები, რომლებიც გადაწყვეტენ შესაძლებელია თუ არა თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ოფიციალური საერთაშორისო მატჩების ჩატარება. ამთავითვე ცხადია, რომ სტუმრების დასკვნა უარყოფითი იქნება: წელს იწურება უეფას მიერ მოცემული ვადა – სტადიონებზე, სადაც არ დამონტაჟდება ინდივიდუალური სავარძლები და სათანადო სიძლიერის განათების სისტემა, საფეხბურთო მამების მიერ მიღებული არ იქნება.**

გახსოვთ, შარშან ზაფხულში, დიდი ზარზეიმით რეკლამირებული სარესტავრაციო სამუშაოები ეროვნულ სტადიონზე როგორც იქნა დაიწყო და... მალევე შეჩერდა – მშენებლებმა მხოლოდ 2 000 ინდივიდუალური სავარძლის დამონტაჟება მოასწრეს. მერე ისიც ითქვა, საცაა განათებასაც მოევლება და ამისათვის უცხოელ ფირმებს შორის ტენდერიც გამოცხადდაო. ამაოდ დაშრნენ საზღვარგარეთელი სპეციალისტები. მაგალითად, საქვეყნოდ ცნობილ „ჯენერალ ელექტრიკს“ მოვიყვანთ – სამუშაოთა პროექტიც, ყველანაირი დოკუმენტაციაც კარგა ხანია შეადგინეს, მაგრამ საქმე ვერ დაძრეს – კაცი არაა უეფას მოხელეთ შეეხმიანოს და შეპირებული დაფინანსება დააჩქარებინოს: ახალკაცის სიტყვას სულ სხვა ფასი ჰქონდა, იცოცხლე შეაფუცხუნებდა ხოლმე ეპლესა და მისთანებს!

შედეგად ის მივიღეთ, რომ ევრო – 2000-ს საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ნაკრები დედაქალაქში ვერ დაიწყებს და ალბანელებს სექტემბერში მხსნელად მოვლენილ ბათუმის სტადიონზე მიიღებს. თუ ასე გაგრძელდა, თბილისელი გულშემატკივარი კიდევ კარგა ხანს ვერ იხილავს დიდ ფეხბურთს.

## სეოკის აღმასკომის სხდომა

საქართველო

GEORGIA

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის ამ სხდომაზე მთავარი თემა ნაგანოში, ზამთრის ოლიმპიური თამაშებში საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეების საკითხი იყო. ანგარიშით წარსდგა სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი, ნაგანოში ჩვენი დელეგაციის მისიის ხელმძღვანელი გოგი თოფაძე. როგორც მის, ასევე აღმასკომის წევრთა გამოსვლებში პასუხი გაეცა ყველა კითხვას, რომელიც გაუგებრობის გამო, მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. ხაზგასმით ითქვა, რომ სოკს-ს დადგენილი აქვს თითოეული ქვეყნიდან ოფიციალური დელეგაციის შემადგენლების კვოტა, რაც ჩვენს მიერ სრულადაც კი არ ყოფილა გამოყენებული.

ცხადია, შეეხნენ პრობლემებს. გოგი თოფაძემ განაცხადა, რომ თუ ფინანსური მხარდაჭერა კვლავ გაჭიანურდება, სპორტის ზამთრის სახეობები ჩვენში სასიკვდილოდაა განწირული, უკიდურეს შემთხვევაში, ალბათ, ფედერაცია შეწყვეტს ხელშეკრულებით თანამშრომლობას სპორტის დეპარტამენტთან, როგორც სახელმწიფო რგოლთან.

სპორტის ცალკეულ სახეობებში უფროსი მწვრთნელები ინფორმაციით გამოვიდნენ მსოფლიო ახალგაზრდული თამაშებისათვის (მოსკოვი) მზადებასთან დაკავშირებით.

განიხილეს სხვა საკითხები.

აღმასკომის სხდომას უძღვებოდა სეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი.

საგენტო „ბუმათე“

### მილოცვა

საქართველოს სპორტსაზოგადოება „მართვე“ და ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავენ სპორტის ოსტატს აკრობატიკაში *პაატა მიქიაშვილს.*



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## „აზოტი“ ფინალშია

### ჩემპიონ ვითა-აზოტის სამრაუნდიანი შეხვედრები გამოავლენს

აზოტი (რუსთავი) – სდასუ (თბილისი) 88:76 (3-1)

*აზოტი:* გაბისონია, გოგობერიშვილი (24), წიკლაური (15), ჯაფარიძე (22), წიკლაური (12), კიკვიძე (5), ბერუაშვილი (6), კეჭაყმაძე (2), კოჭლამაზაშვილი (2).

*სდასუ:* ჩერქეზიშვილი (8), ჩხეიძე (5), სანაძე (27), ოთიურიძე (14), ნაცვლიშვილი (7), მგალობლიშვილი (14), აბულაძე (1).

რუსთაველმა კალათბურთელებმა ამ შეხვედრაშიც იმარჯვეს და დამსახურებულად მოიპოვეს ფინალის საგზური. სდასუმ მიუხედავად სათადარიგო სკამის სიმცირისა, ბოლომდე იბრძოლა და ღირსეული წინააღმდეგობაც გაუწია მეტოქეს, მაგრამ როგორც იტყვიან, „თავს ზემოთ ძალა არ იყო“ – უფრო ძლიერი შემადგენლობის „აზოტმა“ ამ სეზონშიც, ისევე როგორც წინა წლებში, კვლავ „განგმირა“ მრისხანე მოწინააღმდეგე.

პირველი შეტევა, რუსთაველებმა წამოიწყეს, მაგრამ ფარქვეშ მყოფმა ბერუაშვილმა ვერ „ივარგა“, რასაც სანაძის სწრაფი სამქულიანი მოჰყვა, სდასუ შეხვედრის დებიუტში დაწინაურდა. მატჩი სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა, რუსთაველები ცდილობდნენ ბოლომდე გაეთამაშებინათ ბურთი და ფარში შესვლებით უნდოდათ მიზნის მიღწევას, მაგრამ პირველ ტაიმში ფარქვეშ სდასუმ პირწმინდად ამოკეტა ტანმაღალი რუსთაველები. სდასუს ძირითადად აქცენტი სამქულიანებზე ჰქონდა გადატანილი – ჩხეიძე, ჩერქეზიშვილი მეტოქის საჯარიმოს წინა ხაზთან ათამაშებდნენ ბურთს, შემდეგ ცდილობდნენ სანაძისათვის ზუსტი, დროული პასის გადაწოდებას, ეს უკანასკნელი კი პირველ ნახევარში ამ პოზიციიდან ზუსტი იყო. სწორედ ამდაგვარმა შეტევებმა ნაყოფი გამოიყო – სდასუ ოთხი ქულით გაიჭრა წინ. ამას მოჰყვა, შეცვლაზე შემოსული მგალობლიშვილის შედეგიანი თამაში და სტუდენტები უფრო დაწინაურდნენ ანგარიშში. რუსთაველთა გუნდში შიდა არეულობამ დაისადგურა. ფარზე მათ არაფერი გამოსდიოდათ, მეტიც, ერთმანეთის შეცდომების საჯარო განხილვაც დაიწყეს მოედანზე და პრეტენზიე-

იხ. მე-6 გვ.

## საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში



დავით ჯანაშიამ ჰეთ-თრიკი შეასრულა

### პირველი ჯგუფი XXIII ტური

**ლოკომოტივი (თბილისი) – რუსთავი 2-1**
**კოლხეთი-1913 (ფოთი) – დინამო (თბილისი) 3-1**
**დინამო (ბათუმი) – დილა (გორი) 2-0**
**ოდიში (ზუგდიდი) – მარგვეთი (ზესტაფონი) 2-2**
**უნივერსიტეტი (თბილისი) – სამგურალი (წყალტუბო) 2-1**
**ტორპედო (ქუთაისი) – მერანი-91 (თბილისი) 3-0**
**მაღაროელი (ჭიათურა) – გურია (ლანჩხუთი) 2-0**
**სიონი (ბოლნისი) – ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 3-0**



როსტომ თორდაშვილმა გოლი ამ ტურშიც გაიტანა

**თამამად** შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ტურის მატჩების შედეგზე განსაკუთრებული გავლენა იქონია კლიმატურმა პირობებმა: ფოთში, ალექსიძის – ღალანიძის, გვასალიას და ნოზაძის, ხოლო ქუთაისში, დავით ჯანაშიას ჰეთთრიკში ლომის წილი გრიგალისებურმა ქარმა დაიდო. ბევრმა შეიძლება ფოთის მატჩის შედეგი სენსაციურად აღიქვას, მაგრამ, ვფიქრობთ, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: ჯერ ერთი, ჩვენი ქვეყნის უცვლელმა ჩემპიონმა მარცხი განიცადა ალმავლობით მოასპარეზე საპრიზო ადგილის რეალურ კანდიდატთან, თანაც გასვლაზე, და, რაც მთავარია, თვით „დინამოშია“ გაურკვეველი სიტუაცია – ფოთში გუნდთან ერთად დავით ყიფიანი არ ჩასულა. არ ვიცით, მართლა ავადმყოფობის გამო არ გაყვა „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი, თუ, მოარულ ხმებს დავუჯეროთ და იგი გუნდიდან მიდის?

## ინტრიგა გაიზარდა – საქმეში ქარი-გოლეადორი ჩაერია

სანამ ჩემპიონი პრობლემების წინაშე დგას, მას სატურნირო ცხრილში მდევრებიც მიუახლოვდნენ – ფოთელთა გარდა, ეს ბათუმელებსა და ქუთაისელებზე ითქმის. სამაგიეროდ, როგორც საქმეს ეტყობა, მაღალ მიზნებზე საბოლოოდ ხელი აიღეს ზუგდიდელებმა. აქაც „დინამოსი“ არ იყოს, საკადრო ცვლილებებია მოსალოდნელი (თუმცა, ერთი უკვე მოხდა – „ოდიში“ დატოვა „ქართული ფეხბურთის ენციკლოპედიამ“, მისმა ტექნიკურმა დირექტორმა ჯემალ გოგიამ – კაცმა, რომელმაც სამეგრელოში მიმდინარე არეულობების დროს გუნდი დაშლას რომ გადაარჩინა, საკუთარი სახლი გაყიდა).

მეტად გამძაფრდა ბრძოლა სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში: ერთი შეხედვით, უიმედო მდგომარეობაში მხოლოდ ზესტაფონის „მარგვეთია“ (სხვათვა შორის, იგი, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფიდან გასავარდნად განწირულია, მაინც კაცურად იბრძვის და ზოგიერთებივით ჰარიჰარალოდ არ არიგებს ქულებს. ამის მაგალითი, თუნდაც ზუგდიდში ჩატარებული მატჩი გამოდგება). ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებელი შანსი შიეცა „მაღაროელს“. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იწვევს ამ გუნდის გადადებული საშინაო მატჩი „რუსთავთან“.

XXIV ტურის მატჩები გაიმართება 22,23 და 24 მარტს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „რუსთავი“ – „ტორპედოს“ შეხვედრა. თუ მასპინძლებმა ამ თამაშშიც წაიფორთხილეს, მეორე ჯგუფში გასავარდნ უტყუარ კანდიდატებთან ამოჰყოფენ თავს, არადა, ქუთათურებსაც საპრიზო ადგილებზე დასამკვიდრებლად ჰაერივით სჭირდებათ ქულები.

„ლელოს“ ფეხბურთის განყოფილების კომენტარი

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ.) | 22 | 18 | 2 | 2 | 60-10 | 51 |
| დინამო (ბთ.) | 23 | 14 | 5 | 4 | 49-16 | 47 |
| კოლხეთი-1913 | 23 | 14 | 4 | 5 | 45-19 | 46 |
| ტორპედო | 23 | 13 | 6 | 4 | 40-20 | 45 |
| ოდიში | 22 | 13 | 3 | 6 | 35-30 | 42 |
| თსუ | 23 | 11 | 6 | 6 | 30-16 | 39 |
| ლოკომოტივი | 23 | 9 | 6 | 8 | 26-29 | 33 |
| მერანი-91 | 23 | 9 | 6 | 8 | 26-30 | 28 |
| დილა | 23 | 8 | 3 | 12 | 21-29 | 27 |
| სიონი | 23 | 8 | 6 | 9 | 36-29 | 25 |
| ვიტ-ჯორჯია | 23 | 6 | 7 | 10 | 20-28 | 25 |
| რუსთავი | 22 | 7 | 1 | 14 | 21-36 | 22 |
| სამგურალი | 23 | 5 | 5 | 13 | 21-45 | 20 |
| გურია | 23 | 4 | 7 | 12 | 22-45 | 19 |
| მაღაროელი | 22 | 4 | 3 | 15 | 19-50 | 15 |
| მარგვეთი | 23 | 1 | 6 | 16 | 16-55 | 9 |

*შენიშვნა: „დინამოს“ (თბ.), „მერანს“ და „სიონს“ დაკლებული აქვთ 5-5 ქულა*

ქველმოქმედება

## ფალავნის ოჯახი – „ფალავანს“



**ლეგენდარული ფალავნის ლევან თედიაშვილის 50 წლის იუბილე ამას წინათ გაიმართა, რომელსაც წინ უსწრებდა პრეზენტაცია წიგნისა „ლევან თედიაშვილი ფალავანი და მოქალაქე („ლელო“ ამ ღონისძიებების შესახებ იტყობინებოდა).**



ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ წიგნის რეალიზაციიდან მიღებული მთელი შემოსავალი (შეგახსენებთ, რომ წიგნი მოამზადა და გამოსცა ლევანის მეუღლემ, ქალბატონმა ნანა მჭედლიშვილმა), ავტორის გადაწყვეტილებით, მოხმარდება გაზეთ „ფალავანის“ გამოცემას. გაზეთისადმი ამგვარმა დახმარებამ ქართველ მოჭიდავეთა ძმურ სამყაროში დიდი მოწონება ჰპოვა.

— გაზეთი „ფალავანი“ შეიყვარა ჩვენმა საჭიდაო სამყარომ და გულშემატკივრებმა. ქალბატონ ნანა მჭედლიშვილის ქველმოქმედება დიდი მხარდაჭერა და სტიმულია ჩვენთვის — თქვა „ფალავანის“ რედაქტორმა ზვიად შევარდენიძემ.

*სურათებზე: ლევან თედიაშვილი ავტოგრაფით უძღვნის წიგნს გულშემატკივრებს; ნანა მჭედლიშვილი.*

ჭადრაკი საქართველოს ჩემპიონატი • ქალები

## ბევრნი სამი საგზურისათვის

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 1998 წლის ჩემპიონატს მსოფლიოს მორიგი პირველობისათვის შესარჩევი ასპარეზობის მნიშვნელობა მიენიჭა. ისინი ვინც სამ პირველ ადგილს დაიკავებენ, მსოფლიოს პირველობის ზონალურ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. ისე რომ, თამაში ნამდვილად ღირს...

შეჯიბრებაში 36 მოჭადრაკე ჩაება, მათ შორის დიდოსტატი მაია ლომინეიშვილი, საერთაშორისო ოსტატები და ოსტატები. თამაშობს საქართველოს ჩემპიონიც 12 წლამდე ბიჭებს შორის, 11 წლის ნანა ძაგნიძე.

ტურნირი შვეიცარული სისტემით მიმდინარეობს 9 ტურად. სტარტზე ყველაზე კარგად ითამაშეს მაია ლომინეიშვილმა და სოფიო ტყეშელაშვილმა, რომელთაც მოიგეს 3-3 პარტია. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩნენ სოფიკო ტერელაძე, ნატო ეძგვერაძე, სოფიკო ნიკოლაძე და ლელა ჯავახიშვილი.

რა თქმა უნდა, დიდ ინტერესს იწვევს ნორჩი ნანა ძაგნიძის გამოსვლა. მან პირველ სამ ტურში ერთი პარტია მოიგო, ერთი ყაიმით დაასრულა და ერთი წააგო (ტერელაძესთან).

**IV ტურში ლომინეიშვილმა დაამარცხა ტყეშელაშვილი და 4-დან 4 ქულით ლიდერობს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ნატო ეძგვერაძე, რომელმაც სოფიკო ტერელაძე დაამარცხა.**

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძალოსნობაში, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი**

**შოთა წერეთელი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს**

პანაშვიდი კვირას და ორშაბათს 16 საათზე, გამოსვენება სამშაბათს 14 საათზე (მისამართი შენგელიას ქ. №33).

# 20 აპრილი ხსოვნის დღეა!

**ლეგენდა-ფალავანი – გივი კარტოზია, სულ რამდენიმე დღის წინ გააცილა ჩვენმა საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე...**



## უკვდავის ლელო

კარტოზიების სამძიმარს
ქარი ჰგოდებს და კივის,
მომკვდარა ვეფხვი – ვაჟკაცი,
უსაყვარლესი გივი!
დაობლებულა ხალიჩა,
დღეს უშენობას ტირის
სიკვდილთან შესაჭიდებლად
მაინც გასულა გივი...
ბეჭდაუდებლის ლეგენდებს
არწივი აღარ ჰყივის
ქართველ ფალავნებს მძინარე
საით მიჰყავხარ, გივი?
უკვდავებაში გასულა
შენი სიცოცხლის ტივი...
ზეკაცნიც იხოცებიან,
ულამაზესო გივი???
რად დაგვიტოვე მწუხარე
მწარე ცრემლები ცივი?
სიკვდილთან როგორ წააგე
წაუგებელო გივი?

ქართლოს კასრაძე

## ნოდარ ჯანგირაშვილს 50 წელი შეუსრულდებოდა

ამბობენ: ბედნიერიაო ადამიანი, ვისი დაბადების დღეც აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს უახლოვდება, ან ემთხვევა. ჩემი მეგობარი, ნოდარ ჯანგირაშვილი 20 აპრილს 50 წლისა გახდებოდა.

ნოდარი ერთი ჩვეულებრივი, რიგითი ქართველი კაცი იყო: საქმიანი, საზრიანი, დაუზარელი, დაუღალავი, მონდომებული, შეუპოვარი, ნაღდი პატრიოტი. იმ ავბედითი 9 აპრილის შემდეგ მთელმა საქართველომ გაიგო მისი სახელი. მის მეგობრებს არ გაგვკვირვებია ნოდარის გმირობის ამბავი, მას სხვანაირად არ შეეძლო, ზურგს ვერ შეაქცევდა გოგო-ბიჭების ნიჩბებით ამჩეხავ ჯალათებს.

ნოდარი ქ. თბილისში დაიბადა, დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი, შემდეგ – საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. სწავლობდა დაუსწრებლად: სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სპორტკომიტეტში, სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკურ საბჭოში, სპორტკლუბ „სინათლეში“.



ნოდარის მონდომებით სამხედრო ნაწილის კუთვნილი მუხიანის სტადიონი უბნის მცხოვრებთა სამსახურში ჩადგა, მეტრო სადგურ „ელექტროდეპოსთან“ გადასასვლელი ხიდი აშენდა, რომელმაც ნაძალადევის რაიონი დიდუბის რაიონთან დააკავშირა. ბევრმა ალბათ არ იცის, რომ „დინამოს“ სტადიონზე „ერთგულების ლატარია“ მისი ინიციატივით თამაშდებოდა. მის პატრიოტობაზე მეტყველებს ვაკის პარკში სპორტული ბიბლიოთეკისა და სპორტული ლიტერატურის მაღაზიის გახსნა, საქველმოქმედო რესპუბლიკური ფონდის შექმნა ინვალიდ სპორტსმენებისათვის. თანამშრომლობდა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში.

ნოდარის გარდაცვალებიდან ხუთი თვის შემდეგ დაიბადა მისი ვაჟიშვილი ნოდარ ჯანგირაშვილი, – სიცოცხლე გრძელდება. სიცოცხლეშივე მოესწრო პატარა მაიას დაბადებას.

– მართალია, ჩემს გაუნელებელ ტკივილს ვერაფერი უშველის, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ, რომ სამშობლოსთვის თავდადებული ვაჟკაცის ნოდარის დედა ვარ. მჯერა, რომ მისი სული ზეციდანაც საქართველოს დაჰყურებს და ჩვენთვის ლოცულობს – ამბობს ქალბატონი ემა.

გურამ არჩეილიძე

## ლელოელების ხსოვნა

ხსოვნის დღესთან დაკავშირებით გაზეთ „ლელოს“ რედაქცია ღრმა გულისტკივილით იხსენებს ჩვენი გაზეთის ყოფილ მუშაკებს:

**რედაქტორებს ერემო მახათაძეს და მიხეილ კაკაბაძეს, რედაქტორის მოადგილეს ზურაბ ჯაფარიძეს, პასუხისმგებელ მდივნებს არჩილ გოგოლაშვილს და ლევან ასტვაცატუროვს, განყოფილების გამგეებს ნოდარ გუგუშვილს და ბიჭიკო ქორქიას, ლიტმუშაკებს არჩილ მხეიძეს, ვანო მღებრიშვილს და დიმიტრი გულისაშვილს, მხატვარ გოგი იაშვილს, ფოტორეპორტიორ მიხეილ ზარგარიანს, გამომშვებებს უშანგი ოქრუაშვილს, გოგი მაკარიძეს და დავით მარტიროსოვს, კორექტორებს კოჩობი აროსიას, ფირუზა გულისაშვილს, ნიკოლოზ გიგოლაშვილს, ნუცა ხარებავას და ანა ხაჩიძეს, მემანქანეებს თამარ ცხენოსანიძეს, ვენერა სარსანიას და შტატგარეშე კორესპონდენტს ამირან ბარნოვს.** ნათელში იყოს მათი სულები!

## ზვიად ბერუაშვილი



უკვე ორი წელი გვაშორებს ერთმანეთს. სულითა სხეულით ლამაზ ახალგაზრდას, თავგამოჩენილ სპორტსმენს, ცხოვრებაშიც ყველაფერი ლამაზი გიყვარდა. წახვედი და უდიდესი ტკივილი დაგვიტოვე ყველას, მშობლებს, დედმამიშვილებს, შენს მეუღლეს და ულამაზეს შვილებს სოფიკოს და ნინოს, ამ ტკივილს დრო ვერასოდეს განკურნავს. ნათელში იყოს შენი სული, ჩვენო დიდო სიყვარულო და დიდო ტკივილო.

ოჯახი

## არდავიწყება

**ამქვეყნიდან** წასული ადამიანების ხსოვნას, ვინც ღირსეულ პატივს მიაგებს, დიდ სიკეთეს სთესავს. ჩვენს ხალხს ტრადიციულად მოსდგამს გარდაცვლილთა სახელის დაფასება. ასეა სპორტშიც, მოსაგონებელ-გასახსენებელიკი, ვაგლახ, ძალიან მოგვიმრავლდა. ჩვენი სპორტის მუზეუმი არა მხოლოდ სპორტული დიდების ექსპონატებს და რჩეულ ათლეტთა რელიკვიებს, არამედ, ამ ადამიანთა ხსოვნასაც სათუთად ინახავს. ამის ნათელი დასტური იყო ამ დღეებში თბილისის სპორტის სასახლეში განთავსებული ქართული სპორტის დიდების მუზეუმში გამართული ხსოვნის საღამო, რომელზედაც მრავლად შეიკრიბნენ გარდაცვლილ სპორტსმენთა და სპორტის სპეციალისტთა ოჯახის წევრები, ნათესავები, ახლობლები და მეგობრები, სპორტის მუშაკები. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო, რომ უდროოდ წასულ სპორტსმენთა შვილიშვილებმა, სწორედ მუზეუმის დარბაზში, ესტაფეტასავით მიიღეს თავიანთი სახელოვანი წინაპრების უკვდავებისათვის სამარადჟამო ზრუნვის კარგი მაგალითი. ეჭვიც არ არის, რომ მიხეილ მესხის, შოთა იამანიძის, სლავა მეტრეველის, გივი ჩოხელის, სხვათა და სხვათა შთამომავლები არასოდეს მისცემენ დავიწყებას ბაბუების ღვაწლსა და ამაგს. ამ კარგი ღონისძიების თაოსნები იყვნენ ქალბატონები – სპორტის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი ნარგიზა მესხი, მუზეუმის თანამშრომლები ლილი ლომსაძე და აზა მოგელაძე. სპორტის სასახლის მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარემ ვალერი ლომაძემ კი ყველანაირად შეუწყო ხელი ჩანაფიქრის ხორცშესხმას.

* * *

**მეორე დღეს,** 17 აპრილს, ნარგიზა მესხმა თავისი კიდევ ერთი ჩანაფიქრი განახორციელა – სპორტის დეპარტამენტში გამოფინა ამ სახელმწიფო დაწესებულებაში სხვადასხვა დროს მომუშავე და აწ გარდაცვლილ ადამიანთა პორტრეტები და მათი ხსოვნის უაღრესად თბილ, შთამბეჭდავ ღონისძიებას უმასპინძლა. შეკრებილნი ამქვეყნიდან წასულ ოჯახის წევრებთან ერთად თვალცრემლიანები შესცქეროდნენ ყოფილ თანამშრომლებს, იგონებდნენ მათ ადამიანურ ღირსებებს, გაწეულ სიკეთეს, რითაც აქ ყველასათვის სათუთად მოსაგონებელი სახელი დატოვეს და ქართული სპორტის წინაშე ვალმოხდილნი წავიდნენ იმქვეყნად.

## „აქაც კარგი კაცი იყო...“

**ეს მოხდა** შვიდიოდე წლის წინათ. გარეკახეთის ერთ-ერთ ლამაზ და განსაკუთრებულ სოფელ ყანდაურაში ქართული ჭიდაობის ენთუზიასტ – გურამ სირაძის თაოსნობით, სახელოვანი ფალავნის ანზორ კიკნაძის (რომელიც ბადიაურში გაიზარდა და დავაჟკაცდა) პრიზზე ტარდებოდა ჭიდაობა. მაშინ უფრო არეული იყო ცხოვრების რიტმი. გაუთავებელი მიტინგები, შეხლა-შემოხლა, ცალკეულ მოღვაწეთა ერის მტრად გამოცხადება და ათასგვარი მოულოდნელობა. არეულობით თავმობეზრებულ ადამიანებს მშვიდობიანი ცხოვრება ენატრებოდათ და, როგორც კი ხმა გავარდა, ყანდაურაში ქართული ჭიდაობა ტარდებაო, ყველამ სიამოვნებით მიაშურა იმ ადგილს, სადაც ათეული წლების წინათ გრანდიოზული საღამოები იმართებოდა და სადაც თვით ანზორ კიკნაძე ოსტატდებოდა, როგორც ფალავანი. სპორტული სილამაზის ხილვას მოწყურებული თაობა გულისფანცქალით შეიკრიბა სოფლის შუაგულში, ეგრეთწოდებულ ალაკანში.

ჭიდაობა ბავშვებმა გახსნეს. ბავშვებს თანდათანობით მოზრდილები ენაცვლებოდნენ და ბოლოს ტალიკ-ტალიკი ჭაბუკები გამოვიდნენ: მასურაშვილები, თევდორაშვილები, ათაბეგაშვილები, ღვინაშვილები, დარბაისლები, ელერდაშვილები და აი, საბოლოო წყვილში სპორტის ოსტატი ბადრი მჭედლიშვილი დაასახელეს.

საჭიდაო არენაზე საშუალო ტანის ჩასკვნილი ახალგაზრდა გამოვიდა, ღიმილი რომ დასთამაშებდა სახეზე, და უმალ ყველას ყურადღება მიიქცია. მისი წინააღმდეგე, რომლის გვარსაც ველარ ვიხსენებ, საკმაოდ ათლეტური აგებულების ახალგაზრდა იყო. ქართულად რომ ვთქვათ, ბრგე ანუ სულხან-საბას სიტყვებით „კაცი მშვენივრად მაღალი“, რომელიც ათი კილოგრამით მაინც გადააჭარბებდა თავის მეტოქეს, მეტით თუ არა.

შეიბნენ, მაგრამ რა შეიბნენ. ხალხური მოლექსე ამაზე იტყოდა: „მიწამ დაიწყო გრიალიო“. ბავშვობიდანვე ჭიდაობას სპორტის პირველ სახეობად ვთვლიდი, ბევრი მინახავს, მაგრამ ასეთი ლამაზი და თავდაუზოგავი შერკინება იშვიათად თუ გამახსენდება. ერთ მხარეს დიდი ფიზიკური ძალა და სიჭაბუკე იყო, მეორე მხარეს კი დახვეწილი ტექნიკა და გამოცდილება. ხანდაზმული მოჭიდავეები აღტაცებას ველარ ფარავდნენ მათი შერკინებისას. ვინ უფრო იყო გამარჯვების ღირსი, ადვილად ვერ იტყოდა მაყურებელი. და, აი, დამთავრდა ორთაბრძოლა და გამარჯვება მჭედლიშვილს მიეკუთვნა, რომელმაც არაერთი გამაოგნებელი ილეთი გამოიყენა, მაგრამ ბეჭები მაინც ვერ დაადებინა მოწინააღმდეგეს.

ხანი გავიდა. მიტინგები ფიცხელ შინა ომში გადაიზარდა და სოფელში მეხივით გავარდა: ბადრი მჭედლიშვილი დაღუპულაო გაგრაში. ერთბაშად ვერ მივხვდი, ვისზე ამბობდნენ, და როცა გამახსენეს, ყანდაურაში კარგად რომ იჭიდავაო, იავნარი დამეცა. მერე ისიც ამიხსნეს, ვისი შვილი იყო და ჩვენი განაყოფი აღმოჩნდა: ჩემი დიდი პაპის ანუ პეპერას ნაშვილობის ჩამომავალი. უკვე დასაფლავებული იყო, სოფელში რომ ჩავედი. მისმა ახლობლებმა ეპიტაფიის დაწერა მთხოვეს, თუმცა ასეთ რამეს ჩვეული არ ვიყავი, არ შემეძლო, უარი მეთქვა და, რაკი მაინცადამაინც ლექსად უნდოდათ, ლექსიც ჩავურთე და ასეთი ეპიტაფია დავწერე: „აქ განისვენებს ბეჭდაუდებელი ფალავანი, საქართველოს მთლიანობისათვის მებრძოლი გმირი ბადრი მჭედლიშვილი. შემდეგ კი ლექსია: ***„ხუვდად ქვეყნით ღიმილით, ბიჭო, მკლავ-მუხლით ქებულო, კაკაბეთს გათენებულო, გაგრაში დალამებულო, გმირთა ხავანე ღია გაქვს, შებრძანდი, შვილო, თამამად, მეფე ერეკლე მოგიღებს და მისი მწყობრი ამალა“.***

დიახ, ღია აქვთ ზეციური საქართველოს კარი იმ ბიჭებს, რომლებიც სამშობლოს ეწირებიან. სოფელში ბადრი მჭედლიშვილის სადღეგრძელო დაკანონდა და მასთან ერთად, ვინც საქართველოს მთლიანობას შეეწირა, ჟიული შარტავას მეთაურობით აფხაზეთის ხსენება გულისტკივილს იწვევს და მოუშუშებელ ჭრილობად მექცა.. სწორედ ბადრის დაღუპვამ მაიძულა, ღია წერილი მიმეწერა, ჩემი ერთგული ბიძაშვილისთვის ჩეჩნეთში, მინდოდა, დამერწმუნებინა, რომ ბადრის სიცოცხლედაც არ ღირდა ის სკამი, რომლისთვისაც საქართველო იღუპებოდა, მაგრამ ვინ მომისმინა? მხოლოდ ავიმხედრე შინაურ მოწინააღმდეგეთა ტალღა.

ბადრის საფლავი დედაჩემის საფლავის გვერდითაა და ყოველ ჩასვლაზე მოვინახულებ ხოლმე. შევყურებ გაღიმებულ ვაჟკაცს და ამითღა ვითქვამ სულს: „აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!“

გიორგი პაპუაშვილი

## ლატარია „ტოტო-ლოტო“ საქართველოშიც შემოაბიჯა!

ჩვენს ქვეყანაში პირველად, 1998 წლის 26 აპრილს, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გადაიცემა ახალი ლატარიის „ტოტო-ლოტოს“ გათამაშება, დამატებითი თამაშით „სუპერ-7“.

თქვენ შეგიძლიათ არა მარტო იოცნებოთ, არამედ აისრულოთ კიდეც ნატვრა „ტოტო-ლოტოს“ მეშვეობით!

ყოველი ბილეთი შევსების შემდეგ გაივლის რეგისტრაციას სპეციალურ დანადგარში, ერთი ნაწილი რჩება მოთამაშეს, მეორე კი დამუშავდება ელექტრონულ-კომპიუტერულ მანქანაზე, სადაც გაყალბება გამორიცხულია, ერთი ვარიანტის ფასია 25 თეთრი.

42-დან 6 ციფრის გამოცნობის შემთხვევაში თქვენ ხდებით უმაღლესი მოგების მფლობელი! საწყისი „ჯეკ-პოტი“ 30 000 ლარია!. სოლიდური მოგებები გელით 5,4,3 ციფრის ამოცნობის შემთხვევაში.

დამატებით თამაშში „სუპერ-7“-ში მომგებიანი ციფრების გამოვლენა ხდება ცალკე ლოტოტრონზე. გათამაშებული 7 ციფრიდან თუ ერთი ან რამდენიმე დაემთხვა თქვენი ლატარიის ბილეთის ნომერს, ბოლოდან დაწყებული თანმიმდევრობით, თქვენ მოგებული ხართ!

უმაღლესი მოგება 50 000 ლარია!!!

ყოველი ტირაჟის გათამაშებისას თქვენ გელით დაუვიწყარი ტელე-შოუ. სტუდიაში მოწვეულებს, ვისაც ფორტუნა „ბედის ბორბალთან“ მიიყვანს, დიდი შანსი აქვს მოიგოს ახალთახალი უცხოური ავტომანქანები: „მერსედეს-ბენცი“ და „ჰუნდაი“, ბინები, საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატზე დასასწრები საგზური, საბანკო პლასტიკური ბარათები, მობილური ტელეფონები, „ადიდასისა“ და „პუმის“ სპორტული კომპლექტები, აუდიო-ვიდეო აპარატურა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

სატელევიზიო სტუდიაში მონაწილეობის მიღება შეგიძლიათ თუ:

— თამაშში „ლოტო 6-42“ გამოიცანით 6 ან 5 ციფრი.

— თამაშში სუპერ 7 გათამაშებული 7 ციფრიდან თქვენი ლატარიის ბილეთის ნომერს დაემთხვევა 7,6,5,4, ციფრი ბოლოდან დაწყებული თანმიმდევრობით.

— მოიგებთ 50 ლარზე მეტ თანხას მომენტალურ ლატარიაში „გოლი-98“.

— გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებთ 100 ლარის სათამაშო ვარიანტით.

ითამაშეთ „ტოტო-ლოტო“ — იგი თქვენი გამდიდრების შანსია!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

## „ჩემზე კომუნისტური ბანდა ნადირობს“

### «შტაზი» და მისი საქმეები

**80-იანი წლების დასაწყისში გდრ-ის საიდუმლო პოლიციამ „შტაზიმ“ შემაშფოთებელი შეტყობინება მიიღეს, რომელშიც ნიჩბოსან ქალთა გუნდის ლიდერების ამბავზე იყო ლაპარაკი. გერმანელი ქალიშვილები თურმე უარობდნენ ანაბოლიკების მიღებას, რადგან არ უნდოდათ „ბაზა“ ჰქონოდათ, შიშობდნენ, ვიღა შეგვირთავსო. გამოსავალი მოძებნეს: „შტაზის“ [illegible] ებს ურჩიეს სპორტსმენი ქალებისთვის, მათ დაუკითხავად, სასმელებსა და ვიტამინის ინექციებში შეეპარებინათ სტეროიდები.**

[illegible] მთავარი ფიგურა.

იგი შემდგომში ოთხგზის (!) ოლიმპიური ჩემპიონის სთივ რედგრეივის (ბრიტანეთი) პირადი მწვრთნელი გახდა და ამჟამად ურიგოდ როდი ცხოვრობს ინგლისში; ოღონდ... დღედღეზე ელოდება სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდების წაყენებას.

გერმანიაში ახალი ძალით ჩაღდება დოპინგური სკანდალი. გამჩაღებელი გახლავთ სიმართლის მოყვარული მარტოხელა პროფესორი, მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალისტი ვერნერ ფრანკე. „შტაზის“ საიდუმლო დოკუმენტების ძიებამ მას ნაკლებ როდი გაუთქვა სახელი, ვიდრე გამოკვლევებმა კიბოს დავადებებთან ბრძოლაში; თუმცა ფრანკეს დოპინგის ეპიდემია ისეთივე საშინელ უბედურებად წარმოუდგება, როგორც კიბოს სიმსივნე.

ამას წინათ, ფრანკემ ჟურნალისტებს გადმოულაგა „შტაზის“ ახალი დოსიეები, რომელთა მიხედვით უტყუარად მტკიცდება, რომ აღმოსავლეთ გერმანელ სპორტსმენებს უმეტესი ოლიმპიური ჯილდო უძლიერესი დოპინგური „დასაყოლიებელის“ დახმარებით აქვთ მოპოვებული. სადოპინგე პროგრამის შესრულების გამაკონტროლებელ „შტაზის“ ლაიფციგის შტაბ-ბინაში აღმოჩე[illegible] ყველა სახელგანთქმული სპორტსმენის დოსიეები შეივსებოდა.

კლომიფენის სტეროიდული პრეპარატი ბერავდა ნიჩბოსნობის ოსტატთა, აგრეთვე ძალოსანთა კუნთებს. პრეპარატი არაჩვეულებრივი წარმატებით გამოიყენეს მოსკოვის ოლიმპიადაზე, სადაც აღმოსავლეთ გერმანელმა ნიჩბოსნებმა 14 ოქროს მედლიდან 11 მოიგეს. მათ, ვინც უარს ამბობდა დოპინგის მიღებაზე, უკეთეს შემთხვევაში სპორტიდან აძევებდნენ. ყველაზე საეჭვოებს „შტაზიში“ დაკითხვები და დაპატიმრება ელოდა, როგორც ეს დაემართა მძლეოსნობის მწვრთნელს დიტერ ჰოგანს. მან ექვსი თვე ხეხა საკანი და ყოველდღიური დამცირების სიმწარეც იგემა.

ფარნკეს მოწოდებით, გრობლერისა და მისი კოლეგების ექსპერიმენტების მსხვერპლებმა ამ დღეებში სასამართლოში უჩივლეს მწვალებლებს.

ნიჩბოსან ქალთა მწვრთნელი მხოლოდ ერთ-ერთია იმ ყოფილ 100 მწვრთნელსა, ექიმსა და სპორტულ ფუნქციონერს შორის, ვისი დოპინგური ცოდვების გამოჩხრეკასაც შეუდგა ამჟამად გერმანიის მართლმსაჯულება. ეჭვმიტანილთ მიეკუთვნება აგრეთვე აღმოსავლეთგერმანელ მძლეოსანთა სუპერ-[illegible]

გუნდის ყოფილი უფროსი ეკარტ არბაიტი, რომელმაც ინგლისის რაგბის კლუბში მოიძებნა სამუშაო; ხოლო მისმა პარტაიგენოსემ პორტ ჰონლაინმა დიდ ბრიტანეთში მოამზადა ბობსლეიში ნაგანოს თამაშების ბრინჯაოს პრიზიორები. „დოპინგური კლიმატი ყველგან გავრცელდა – აშშ-ში, ავსტრალიაში, დიდ ბრიტანეთში... თუმცა, ეს მხოლოდ გდრ-ში ფიქსირდებოდა დოკუმენტურად“, – იმართლებს თავს არბაიტი.

ფრანკეს სიცოცხლეს მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა. მუქარებიანი სატელეფონო ზარებით პროფესორი ტერორში ჰყავთ და მისი ტელეფონი პოლიციას მიუერთეს, რომ შესაძლებელი გამხდარიყო კაბელის ტერორისტების „გამოჭერა“.

— სიტუაცია იმდროინდელს დაემსგავსა, როგორიც მესამე რაიხის დაცემის შემდეგ იყო, — უთქვამს ფრანკეს ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტისათვის. — მსაყვედურობენ, რომ ჩვენ ერის ჩამოყალიბებადი ერთიანობის დარღვევას ვლამობთ და გაერთიანებული გერმანიის ინტერესების წინააღმდეგ ვმოქმედებთ. მე ვიცი, რომ ჩემზე ნადირობს ძველი კომუნისტური ბანდა, მაგრამ ფარხმალს არ დავყრი.

პროფესორს მოჰყავს სტრიქონები დოქტორ მანფრედის მიერ „შტაზიში“ 1977

იხ. მე-6 გვ.

პირველი ჯგუფი ● XXIII ტური

საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# მწვრთნელი მართლაც ბევრს ნიშნავს...

**ლოკომოტივი (თბილისი) — რუსთავი (რუსთავი) 2-1**

*ლოკომოტივი:* ვოლკოვი, ამბიძე, არჩვაძე, ბარნოვი, კაკუბავა, ქვარცხავა, ჟორჟიკაშვილი (დათვაძე), ყაველაშვილი, კოტორაშვილი (ერაძე), გოდერძიშვილი, ხუციშვილი (გ. კვეტენაძე).
*რუსთავი:* კოროშინაძე, მენთეშაშვილი, პატარიძე (ბოკერია), კუდინოვი, სახვაძე (ლაბაძე), ცომაია, გამცემლიძე, შენგელია, ჩუხუა, ყიფიანი, ალადაშვილი.
*გოლი:* 1-0 გოდერძიშვილი (54), 1-1 გამცემლიძე (59), 2-1 გოდერძიშვილი (64).
*მსაჯი:* თემურ მაჭარაძე (ხონი).

ყველას ეგონა, რომ პირველ ჯგუფში დასარჩენად მებრძოლი რუსთაველები ჟინიანად ეკვეთებოდნენ მეტოქეს, მაგრამ ასე არ მოხდა. პირიქით, მასპინძლები უფრო აქტიურობდნენ. პირველი სახიფათო მომენტი ხუციშვილმა შექმნა, როდესაც ორი მცველი მოატყუა, საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ გამოცდილი ცომაია ფეხებში ჩაუვარდა და არ მისცა საშუალება თავდამსხმელს კარში დაერტყა.

თამაში, ძირითადად, ცენტრში მიმდინარეობდა. მასპინძლები ცდილობდნენ საჯარიმოში შეეღწიათ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ, მეტოქე კი, ცენტრში უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა და მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრაზე, მაინცდამაინც დიდი პრეტენზია არ ჰქონია.

შესვენების შემდეგ თამაში ცოტა გამოცოცხლდა, აქ კი მასპინძელთა უპირატესობა აშკარა გახდა. რკინიგზელთა გუნდის მწვრთნელმა მახარაძემ რამდენიმე ტაქტიკური გადანაცვლება გააკეთა, რასაც შედეგი მოჰყვა. კარგად ჩაერთვნენ თამაშში დათვაძე და კვეტენაძე, პირველი პირდაპირ შეტევის ხაზზე „მოკალათდა", მეორემ კი ცენტრის შუაგული გაამაგრა და გამჭრიახი პასებით ამარაგებდა თავდამსხმელებს. პირველი გოლი ასე გავიდა: კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი ამბიძეს მიუვიდა, მან კი შენიშნა მოწინააღმდეგის კართან უმეთვალყურეოდ დარჩენილი გოდერძიშვილი, რომლის მხრიდან გოლის არ გატანა უფრო ძნელი იქნებოდა და ანგარიში გახსნა. გაშვებული გოლის შემდეგ სტუმრებმა ტემპს უმატეს, მაგრამ ისინი მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრას, ძირითადად, ცენტრიდან ცდილობდნენ. მიუხედავად ამისა, მათ ხუთიოდე წუთში, თანაფარდობა აღადგინეს, როდესაც ლოკომოტიველმა ყაველაშვილმა ხელით ითამაშა საკუთარ საჯარიმოში და მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა ჯარიმა. შენგელიამ ცოცხალ კედელში „სიცარიელე" მოძებნა და ბურთი სწორედ იქიდან გავიდა ვოლკოვის კარის ბადეში. მასპინძლებს ფრე ხელს ნამდვილად არ აძლევდათ და გაშვებული გოლის შემდეგ „ზღვა" სახიფათო მომენტები შექმნეს, რომელთაგან ერთ-ერთი მორიგ გოლად გარდაიქმნა. იგი კვლავ გოდერძიშვილმა გაიტანა, როდესაც კოტორაშვილმა ცენტრიდან ზუსტი პასი გადააწოდა გარღვევაზე გასულს. შეხვედრის მიწურულს რუსთაველები აშკარად დაიღალნენ, მოედნის ცენტრი მთლიანად დათმეს და დათვაძესა და კოტორაშვილს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ანგარიშს კიდევ გაზრდიდნენ. საბოლოოდ, „ლოკომოტივმა" მაინც იმარჯვა, მორიგი სამი ქულა მოიპოვა და მოთამაშეებმა მწვრთნელის საქებარი სიტყვები დაიმსახურეს.

გოგა ლომიძე

# გერმანელებს ჯანაშია სურთ, ოღონდ იაფად

მოსკოვში უჩვეულო, ჭირვეული გაზაფხულია – ხვავიანად ბარდნის კიდეც. ასე იყო უეფას თასის ნახევარფინალის განმეორებით მატჩზეც – რუსეთის დედაქალაქში რომ ჩამოვიდნენ „ინტერის" ფეხბურთელები, გაოგნებულები იყურებოდნენ ირგვლივ: ბევრ მათგანს ამხელა თოვლი არასოდეს უნახავს. ასე თუ ისე, „სპარტაკი" – „ინტერის" მატჩი უკვე წარსულში მოიხსენიება და ახლა რუსეთელებს მხოლოდ ერთი ჯილაღა დარჩათ, მოსკოვის რკინიგზელთა გუნდი, რომელმაც თასების თასზე პირველი ნახევარფინალური მატჩი შტუტგარტში მხოლოდ 1-2 წააგო (ისიც გადამწყვეტი ბურთი მსაჯის მიერ დამატებულ მეხუთე წუთზე გავიდა) და, ცხადია, რევანშის წყურვილითაა შეპყრობილი.

„ლოკომოტივი" – „შტუტგარტის" მატჩის დაწყებამდე სამი საათით ადრე სასტუმრო „სოფიტელში" საშუალება მომეცა გავცნობოდი გერმანული კლუბის ფინანსურ-კომერციული სამსახურის დირექტორს **გერჰარდ გოიშელს**. იგი სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა.

● *ჰერ გერჰარდ, რას ელით მომავალი მატჩისაგან?*

– ბრძოლა უშეღავათო, დაძაბული იქნება. მარჩიელობა არ მიყვარს, მაგრამ გული კარგს მაგრძნობინებს. ვინაიდან „შტუტგარტი" ფსიქოლოგიურად მხოლოდ მოგებისთვისაა განწყობილი... უკაცრავად, წეღან, გაცნობისას ბრძანეთ, რომ ქართულ სპორტულ გაზეთს წარმოადგენთ. შარშან გახლდით თბილისში, ლევერკუზენის „ბაიერს" ჩამოვყევი. თქვენი „დინამო" მომეწონა, ეგაა, ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, რომლებსაც გამოცდილება აკლიათ. მახსოვს, მაშინ „შტუტგარტის" კლუბის ხელმძღვანელებისაგან დავალებული მქონდა ნიადაგი მომესინჯა იაშვილის გადმოსაბირებლად, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა – ეს ნიჭიერი თავდამსხმელი მეორებუნდესლიგელმა „ფრაიბურგმა" წაიყვანა. ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან – ვიცი, ქართველები პატრიოტიზმის გრძნობით გამოირჩევით: რატომ აქამდე ვერ გადაიყვანეთ „დინამოში" ლოკომოტიველი ფორვარდი ზაზა ჯანაშია?

● *ეს კითხვა, ალბათ, უფრო უპრიანი იქნება ქართული კლუბის მესვეურებისთვის დაგესვათ. ახლა მე მაქვს შემხვედრი კითხვა – ჭორის დონეზე შევიტყვე ამ ფორვარდის ყიდვა გდომებიათ, რამდენად მართალია ეს?*

– არ დაგიმალავთ, ეს ინფორმაცია სიმართლეს შეეფერება. ალბათ იცით, ბოლო წლებში „შტუტგარტი" ფონს თავისი „შესანიშნავი სამეულით" – ფრედი ბობიჩი, კრასიმირ ბალაკოვი, ჯოვანი ელბერი – გადიოდა. მას შემდეგ, რაც ბრაზილიელი ფრანც ბეკენბაუერის დიდი მოწადინების შემდეგ მიუნხენის „ბაიერნმა" „წაგვართვა" გუნდის საიერიშო პოტენციალი აშკარად შესუსტდა. დღის წესრიგში დადგა ელბერის დარი ფორვარდის შეძენა. „შტუტგარტის" სელექციონერთა მხედველობის არეში ლოკომოტიველი ზაზა ჯანაშიაც მოხვდა. ამ თავდამსხმელის გადმობირების სურვილი გაგვიორმაგდა მას შემდეგ, რაც ფეხბურთელმა წარმატებით ითამაშა შტუტგარტში. თამაში რომ დამთავრდა, ჩვენი კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მოსკოველთა მწვრთნელ იური სიომინს საუბარი ჩამოუგდო ჯანაშიაზე.



გარღვევაზეა ზაზა ჯანაშია

● *მერე სიომინმა, რაო?*

– უარი არ უთქვამს, მაგრამ სატრანსფერო თანხა არ დაუსახელებია, კლუბის მეპატრონეებს უნდა მოველაპარაკოო.

● *მაინც, როგორ გგონიათ, რა ღირს ჯანაშია?*

– აბა, რა ვიცი, „შტუტგარტი" მასში „ლოკომოტივს" მილიონ მარკაზე მეტს ვერ შესთავაზებს.

● *როდის გადაწყდება ტრანსფერის საკითხი?*

– მოსკოვში ორ დღეს კიდევ დავრჩები და „ლოკომოტივის" კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდები.

● *ისე, ამბობენ, ქართველი ფორვარდის შეძენა „კიოლნსაც" სურსო...*

– ამის შესახებ დღეს დილით ჟურნალისტებისაგან გავიგე და დიდად გაკვირვებული დავრჩი. თუ ასეა, „კიოლნმა" არსებული ეთიკის ნორმები დაარღვია, ვინაიდან იცოდა, რომ ჯანაშიას თაობაზე „ლოკომოტივთან" „შტუტგარტსაც" ჰქონდა მოლაპარაკება.

● *უკაცრავად, ეს თარჯიმანი ქალიშვილი ვინღაა, ძალიან შინაურულად რომ მიმართავთ და ახლა საუბარში გვეხმარება?*

– ჩემი შვილია, გერმანიიდან ჩამოვიყვანე, მინდა მოსკოვში გავათხოვო (იცინის...) თუმცა, არა, აქ, ძალიან ცივა, თბილისში ჯობია. მაჭანკალს ხომ არ გამოგვიძებნიდით?..

ესაუბრა
არკადი სმირნოვი,

„ლელოს" საკ. კორ., მოსკოვი

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## ნახევარფინალები ● საპასუხო მატჩები

### ჩემპიონთა ლიგა

**დორტმუნდი (გერმანია) — რეალი (ესპანეთი) 0-0 (0-2)**

*დორტმუნდი:* კლოსი, ბინცი, როიტერი, ფაიერზინგერი, კრეე (ცორკი), ტანკო (დეშეივერი), ჰაირიხი, ბუტი, მიოლერი, რიკენი (ტიმი), შაპიუზა.
*რეალი:* ილგნერი, რობერტ კარლოსი, იერო, სანსი, პანუჩი, რედონდო, კარამბუ, ამავისკა, ზეედორფი (ხოსე მარი), რაული (ხაიმე), მორიენტესი (ვიქტორი).

**მონაკო (საფრანგეთი) — იუვენტუსი (იტალია) 3-2 (1-4)**

*მონაკო:* ბარტეზი, მარტინი, კრისტანვალი, დიავარა, ლეონარდი (სანიოლი), ჯეტუ, ბენარბია, კოლინზი, იკპება (სპეჰარი), ტრეზეგე, ანრი.
*იუვენტუსი:* პერუცი, ტორიჩელი, ბირინდელი, იულიანო, დიმაში, კონტე, ტაკინარდი, ზიდანი (პეკია), პესოტო, დელ პიერო, ინძაგი (ამორუზო, დავიდსი).
*გოლები:* 0-1 ამორუზო, 1-1 ლეონარდი (39), 2-1 ანრი (50), 2-2 დელ პიერო (74), 2-3 სპეჰარი

*20 მაისს ჰოლანდიის „ამსტერდამ არენაზე" ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან „რეალი" და „იუვენტუსი".*

### უეფას თასი

**სპარტაკი (რუსეთი) — ინტერი (იტალია) 1-2 (1-2)**

**ლაციო (იტალია) — ატლეტიკო (ესპანეთი) 0-0 (1-0)**

*ლაციო:* მარკეჯანი, ფავალი, ნეგრო, ნესტა, გრანდონი, გოტარდი, ფუზერი, ვენტურინი, ნედვედი, მანჩინი, ბოკშიჩი (კაზირაგი).
*ატლეტიკო:* მოლინა, დიასი (პაუნოვიჩი), პროდანი, ხელი, აგილერა, ლარდინი (ხოსე მარი), პანტიჩი (ნიმნი), ბეიბლი, ვისკაინო, კიკო, ვიერი.

*ფინალური მატჩი შედგება 6 მაისს პარიზის „პარკ დე პრენსზე", შეხვდებიან იტალიური კლუბები „ინტერი" და „ლაციო".*

### თასების თასი

**ჩელსი (ინგლისი) — ვიჩენცა (იტალია) 3-1 (0-1)**

*ჩელსი:* დე გუი, ლე სო, ლებეფი, კლარკი, პოიეტი, ნიუტონი, დაბერი, მორისი, უაიზი, ვიალი, ძოლა.
*ვიჩენცა:* . ბრივიო, მენდესი, დიკარა, ბელოტი, ვივიანი, სკენარდი, ამბროზინი, დი კარლო, ამბროზეტი, ზაული, ლუიზო.
*გოლები:* 0-1 ლუიზო (33), 1-1 პოიეტი (36), 2-1 ძოლა (52), 3-1 ჰიუზი (74)

**ლოკომოტივი (რუსეთი) — შტუტგარტი (გერმანია) 0-1 (1-2)**

*ლოკომოტივი:* ნიგმატულინი, სოლომატინი, არიფულინი, ჩუგაინოვი, გურენკო, კოსოლაპოვი (ვესელოვი), ხარლაჩოვი, სმირნოვი (ოგანესიანი), ლოსკოვი, ჯანაშია, მამინოვი.
*შტუტგარტი:* ვოლფარტი, შპანრინგი, ბერთოლდი, ვერლაატი, ჰაბერი, ბალაკოვი, სოლდო, პოშნერი, სტაიკოვსკი, ბობიჩი, აკპობორი (ენდრიუსი).
*გოლი:* ბობიჩი (23)

ფინალში ითამაშებენ „ჩელსი" და „შტუტგარტი" (13 მაისი).

*შენიშვნა: გამოყოფილია ფინალში გასული გუნდები. ფრჩხილებში მოყვანილია პირველი მატჩის შედეგი.*

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „ლუჟნიკი" 2 მაისს გაიხსნება

„ლუჟნიკში" ავტოტრანსპორტით ჩამოიტანეს ბალახის საფარი, რომელსაც ჰოლანდიის სპეციალური მეურნეობა ამზადებს. ამსტერდამის „არენისა" და სხვა ევროპული სტადიონებისათვის გაზონები იქაური ბელტებითაა მოფენილი.

ბალახის საფარს 4-6 კვირა სჭირდება, მოსკოვურ მიწას რომ „შეეზარდოს". ამის შემდეგ მინდორზე თამაში უკვე სავსებით შესაძლებელი გახდება.

სეზონი „ლუჟნიკზე" ამ წინასწარი სამუშაოების შესრულების შემდეგ 2 მაისს გაიხსნება.

## რაზე საუბრობენ რესტორან „რეპორტიორში"

მოსკოვის რესტორან „რეპორტიორში" თავისებურ ტრადიციად იქცა ჟურნალისტების შეხვედრა მწვრთნელებსა და ფეხბურთის ფედერაციის მოღვაწეებთან. ჟურნალისტები ბოლოს ესაუბრნენ მოსკოვის „სპარტაკის" მთავარ მწვრთნელ ოლეგ რომანცევს.

საუბარი შეეხო „ბერეზოვსკის საქმეს". პეტერბურგის „ზენიტის" მიერ თითქოს მოსკოვის „სპარტაკისათვის" თამაშის დათმობას, რის შესახებაც ფეხბურთელმა სერგეი დმიტრიევმა ინტერვიუ გამოაქვეყნა გაზეთ „სპორტ-ექსპრესში", როგორც რომანცევმა თქვა, „დმიტრიევი კარგი ახალგაზრდაა", მაგრამ „თითოეულმა ადამიანმა თავის სიტყვებზე პასუხი უნდა აგოს". რაზან დმიტრიევის ბრალდებების დადასტურება სრულიად შეუძლებელია, „მან ფეხბურთი უნდა დატოვოს".

„რეპორტიორში" ჟურნალისტებს რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვიც შეხვდა. მან განაცხადა, რომ ბორის იგნატიევი რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე იმუშავებს, ყოველ შემთხვევაში, ევროპის ჩემპიონატის ახლანდელი შესარჩევი ციკლის დამთავრებამდე მაინც. მასთან კონტრაქტი ამ მოკლე ხანში გაგრძელდება.

როგორც კოლოსკოვმა განაცხადა, ნაკრების ფეხბურთელებმა უნდა გადაიხადონ ადრინდელი გადასახადი 1993-96 წლების შემოსავლებიდანაც. ასე მოითხოვს საგადასახადო ინსპექცია. ამიტომაც მოხდა, რომ ანდრეი კანჩელსკისმა ამ დაქვითვების შედეგად მსოფლიო პირველობის შესარჩევ ციკლში მონაწილეობისათვის სულ 4 ათასი დოლარი მიიღო.

## აღმავლობას გამოიწვევს

„ინგლისმა ევროპის ბოლო ჩემპიონატის ფინალური ნაწილის ჩატარებით 100 მილიონი გირვანქა სტერლინგი შემოსავალი მიიღო". ეს აღელვებს კიდეც უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციას, რომელიც ავსტრიელებთან ერთად აპირებს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ჩატარებას, თუკი, რა თქმა უნდა, საამისო ნებართვას მისცემენ. ძირითად მეტოქედ უნგრელები და ავსტრიელები ესპანელებს თვლიან, სხვა მსურველების – შვეიცარიელებისა და პორტუგალიელებისა კი ნაკლებად ეშინიათ.

უნგრელები იმედოვნებენ, რომ ჩემპიონატის ჩატარების ნებართვა ქვეყანაში ფეხბურთის აღმავლობას გამოიწვევს. გარდა ამისა, აუცილებელია კლუბების შემოსავლის სტრუქტურის შეცვლაც. გაზეთ „ნეპსაბადშაგის" ცნობით, წამყვანმა კლუბმა, ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა" შემოსავლის 80 პროცენტი შარშან სპონსორებისაგან მიიღო, 10 – ბილეთების გაყიდვით და 7 – მატჩების ტრანსლაციის უფლების გაყიდვით. ეს ყველაფერი არანორმალურად ითვლება. შედარებისათვის: „მანჩესტერ იუნაიტედს" ამ მხრივ ასეთი მონაცემები აქვს: შესაბამისად 13, 34 და 14 პროცენტი.

უნგრეთის ფეხბურთის დონის ასამაღლებლად, ყველა ექსპერტის აზრით, საჭიროა პროფესიული ლიგის შექმნა. 60 წელზე მეტია ამ საკითხის განხილვა დაიწყო, მაგრამ საქმეს დღემდე არაფერი ეშველა.

# დიეგო მარადონას მეშვიდე ცდა

როგორც ჟურნალისტებმა გამოითვალეს, დიეგო მარადონამ უკვე შვიდჯერ განაცხადა, რომ თამაშს თავს ანებებს, მაგრამ მისთვის ფეხბურთის დათმობა მეტად ძნელი აღმოჩნდა წლის დასაწყისში. იგი ერთხელ კიდევ შეეცადა კარიერის გაგრძელებას. მისმა აგენტმა გილერმო კოპოლამ განაცხადა, რომ მარადონას თაყვანისმცემლებს, ასეთები კი ცხადია, მრავლად არიან, საახალწლო საჩუქარი მოუმზადა – საცაა დამთავრდება მოლაპარაკება „ნაპოლისთან", სადაც თითქოს დიდ ფეხბურთელს უნდა ეთამაშა. ამის შემდეგ „ნაპოლისთან" კონტრაქტზე უკვე აღარაფერი თქმულა, ეტყობა, მოლაპარაკება მარცხით დასრულდა.

შემდეგ უკვე თვით დიეგომ მიიპყრო ყურადღება. მან განაცხადა, რომ უტყუარი ფაქტები აქვს არგენტინის ჩემპიონატის მატჩების უმეტესობის შედეგების გაყალბების შესახებ. ამ განცხადებას დიდი ეფექტი არ მოუხდენია – გულშემატკივრები აღარ უჯერებენ ვარსკვლავს. ამის შემდეგ კლუბ „ნიუელზ ოლდ ბოიზის" პრეზიდენტმა პაბლო ბრეიმ ჟურნალისტებს უთხრა, რომ „თითქმის მოელაპარაკა" მარადონას თავის გუნდში თამაშის შესახებ. ეს არც მარადონას დაუმალავს, თუმცა მან თავისი არჩევანი იმით ახსნა, რომ „კლუბი მისი სახლის მახლობლადაა". არც აქედან გამოვიდა რაიმე, რასაც ჟურნალისტები დიეგოს გადატვირთულობით ხსნიან: იგი ხომ ერთდროულად რამდენიმე სასამართლო პროცესშია. ერთია ალიმენტის შესახებ ვაჟისათვის, რომელიც მარადონას ვიღაც შემთხვევით გაცნობილ ქალთან შეეძინა, მეორეა 1994 წელს ფეხბურთის მსაჯის შეურაცხყოფის გამო, როცა მარადონა კლუბ „დეპორტივო მანდიჟს" მოთამაშე მწვრთნელი იყო. ერთი სიტყვით, მარადონა ბრუნდება და არც ბრუნდება.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან

# ბრაზილიელები

**ბრაზილიელები, ყველაფერ დანარჩენს რომ თავი დავანებოთ, ფეხბურთის ისტორიაში ორი რეკორდით შევიდნენ: მონაწილეობდნენ ყველა (!) მსოფლიო ჩეპიონატში და ოთხჯერ ჩემპიონები გახდნენ. პირველი რეკორდის მოხსნა საერთოდ შეუძლებელია, რადგან სხვა ასეთი ნაკრები, უბრალოდ, არ არსებობს. რაც შეეხება მეორეს, იგი შეიძლება ვინმემ გააუმჯობესოს, თუმცა მანამდე კარგა ხანს მოგვიხდება ცდა...**

### ომამდე

მსოფლიო პირველი ჩემპიონატის მოწყობის საკითხი რომ დადგა და ეს უფლება ურუგვაის ერგო, ბრაზილიელებმა სიამოვნებით მიიღეს მონაწილეობა. ჯერ ერთი, ეს პირველობა ძირითადად ამერიკული იყო: 13 ნაკრებიდან 9 ამ კონტინენტს წარმოადგენდა, და მეორე — ბრაზილიელებს ძალიან უნდოდათ დაემტკიცებინათ თავიანთი უპირატესობა მუდმივ მეტოქეებთან, მეზობელ ურუგვაელებსა და არგენტინელებთან შედარებით, წინასწარვე ვთქვათ, რომ არ გამოუვიდათ...

ისინი იუგოსლავიელებსა და ბოლივიელებთან ერთად მეორე წინასწარ ჯგუფში მოხვდნენ, აქ გამარჯვებული ნახევარფინალში გადიოდა. ამ დროისათვის ბრაზილიური ფეხბურთი პროფესიული ხდებოდა და აი, სწორედ ამ ახალმა პროფესიონალებმა არ მოისურვეს უგასამრჯელოდ მონტევიდეოში წასვლა. მათთვის მაინცდამაინც დიდხანს არ უხვეწნიათ, ეტყობა, კარგად არა ჰქონდათ წარმოდგენილი მომავალ მეტოქეთა ძალა. ასე იყო თუ ისე, ბრაზილიის ნაკრები ურუგვაიში მაინც შესუსტებული გაემგზავრა.

ჩემპიონატი 1930 წლის 18 ივლისს დაიწყო. ბრაზილიელების შემადგენლობა პირველ მატჩში იუგოსლავიელების წინააღმდეგ: მონტეირო — ბრილანტე, გერასკონი — ფონსეკა, სანტოსი, გიუდიჩელი — რიბერო, ბრაგა, პატუსკა, პრეგო, პერენა. იუგოსლავიის ნაკრები ბელგრადელი ფეხბურთელებისაგან შედგებოდა ( ზაგრებელებმა და სპლიტის „ჰაიდუკმა" სხვადასხვა მიზეზით არ გააგზავნეს თავიანთი მოთამაშეები), რომლებსაც საფრანგეთსა და შვეიცარიაში მოთამაშე სამი ოსტატი დაემატა. მატჩს 30 ათასი მაყურებელი დაესწრო. ევროპელებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ. პირველ ტაიმში ტირნანიჩმა და ბეკმა თითო გოლი გაიტანეს, მეორეში ნეტომ ერთით კი უპასუხა, მაგრამ ბრაზილიელები მაინც დამარცხდნენ. მათ არც მეორე მატჩში ბოლივიელების დამარცხებამ (4-0) უშველა (ორ-ორი ბურთი გაიტანეს ვისინტაინერმა და ნეტომ). ნახევარფინალში იუგოსლავიელები გავიდნენ.

მომდევნო, 1934 წლის მსოფლიო პირველობა ბრაზილიელებს, დებულების თანახმად, შესარჩევი მატჩებით კი უნდა დაეწყოთ, მაგრამ, რახან პერუს ნაკრებმა თამაშზე უარი განაცხადა, მათ უბრძოლველად მიიღეს იტალიაში გამგზავრების უფლება. ფინალურ ნაწილში მათ სერიოზულ ანგარიშს არავინ უწევდა, აქ ფავორიტებად იტალიელები და ავსტრიელთა „ვუნდერტიმი" ითვლებოდა. ბრაზილიელებმა თითქმის მთლიანად შეცვალეს ნაკრები, მაგრამ იგი კვლავ საკმაოდ სუსტი გამოდგა.



*1938 წ. ბრაზილიის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი. მარცხნიდან — პიმენტა (მწვრთნელი), ლეონიდასი, ზეზე, რომეუ, მაჩადო, ჰერკულესი, პერაკიო, ლოპესი, ალფონსინიო, დომინგოს და გუია, ბატატაესი (მეკარე), მარტინი.*
*ფოტო „ლელოს" არქივიდან*

ისე კი, წილისყრამაც არ გაუმართლათ — მოუხდათ შეხვედრა ესპანეთის ძლიერ ნაკრებთან, რომელიც მეტწილად ბასკი ოსტატებისაგან შედგებოდა. მათ ჰქონდათ კიდეც უპირატესობა, ბრაზილიელებს შორის კი მხოლოდ ლეონიდასი თუ გამოირჩეოდა. ძალზე ძნელი იყო განთქმულ ისიდრო ლანგარას შეჩერება, რომლის დიდებული თამაშიც სამი წლის შემდეგ თბილისილებმა გულშემატკივრებმაც ნახეს. ესპანელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3-1. ორი გოლი გაიტანა ლანგარამ, ერთი — ირარაგორიმ. ბრაზილიელთა საპასუხო გოლის ავტორი კი ლეონიდასი იყო. მას შეეძლო კიდევ ერთხელ, 11-მეტრიანით აეღო ესპანელთა კარი, მაგრამ ლეგენდარულმა მეკარემ რიკარდო ზამორამ მოიგერია ბურთი.

ორი მსოფლიო ჩემპიონატი — ორი მარცხი. როდემდე გაგრძელდებოდა ასე? მესამე მსოფლიო პირველობა საფრანგეთში 1938 წელს ბრაზილიელებისათვის მაინც გაცილებით უკეთესად წარიმართა. მერვედფინალში პოლონელებთან მეტად უჩვეულო ანგარიში 6-5 აღინიშნა. აქ ბრაზილიელებს დიდხანს სერიოზული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მეტოქეებმა იშვიათი შეუპოვრობა გამოიჩინეს. თვალყური ვადევნოთ შეხვედრის მსვლელობას: 1-0 — ლეონიდასი, 1-1 შერფკე (პენალტით), 2-1, 3-1 — ლეონიდასი, 4-1 — პერასიო, 4-2, 4-3, 4-4 — ვილემოვსკი. 5-4 — ლეონიდასი, 6-4 — რომეო, 6-5 — ვილემოვსკი. ამ შეხვედრაში მსაჯს, როგორც მკითხველი მიხვდება კიდეც, დამატებითი დროის დანიშვნა დასჭირდა. ორი „პოკერის" შემსრულებელი — ლეონიდასი და ვილემოვსკი ხომ მეტად იშვიათად გვხვდება. ბრაზილიელები გავიდნენ მეოთხედფინალში, სადაც მათი მეტოქე ჩეხოსლოვაკიის ძლიერი ნაკრები იყო. ამ შეხვედრას ბორდოში 35 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. მატჩში მეტოქეებმა დიდებული ფეხბურთი უჩვენეს, მაგრამ იყო დიდი ნერვიულობა, შეხლაშემოხლა, აშკარა უხეშობაც კი, როცა ზეზე ძალზე უხეშად ეთამაშა ჩეხოსლოვაკიელების სნაიპერ ნეედლის და მსაჯმა მას მინდვრის დატოვება მოსთხოვა. ბრაზილიელები მსაჯს მისცვივდნენ, იმუქრებოდნენ, რომ აღარ გააგრძელებდნენ თამაშს. რა თქმა უნდა, არაფერი გაუვიდათ, მაგრამ 10 კაცითაც ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. მატჩი დასრულდა ფრედ — 1-1. გოლები გაიტანეს ლეონიდასმა და ნედლიმ. მძიმე ტრავმა მიიღო ჩეხოსლოვაკიელების განთქმულმა მეკარემ ფრანტიშეკ პლანიჩკამ, რომელიც ამის შემდეგ სამუდამოდ გამოეთხოვა კიდეც ნაკრებს. აღინიშნა მაჩადოსა და რეიხას მიერ ერთმანეთის წინააღმდეგ გამოყენებული კრივის ილეთები, რისთვისაც ორივეს დაატოვებინეს მინდორი. ახლა ნაკრებები ერთი დღის შესვენების შემდეგ კვლავ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ჩეხოსლოვაკიელების მწვრთნელ სედლაჩეკს რამდენიმე დაშავებული მოთამაშე ჰყავდა, ამიტომ იძულებული გახდა პრაღიდან გამოეთხოვა „სათადარიგო ძალები". რაც შეეხება ბრაზილიელთა მწვრთნელ ადემარ პიმენტას, მან ყველა გააოცა, როცა განმეორებით შეხვედრაზე გამოიყვანა 9 (!) ახალი მოთამაშე, დატოვა მხოლოდ მეკარე ვალტერი და თავდამსხმელი ლეონიდასი. ამას სამხრეთამერიკელთა თამაშზე უარყოფითად არ უმოქმედია. პირიქით... ბორდოელი გულშემატკივრები მანამდე არნახული ფეხბურთით დატკბნენ: ბურთის ფლობის დიდებული ტექნიკით, კომბინაციებით, ზუსტი გადაცემებით, პოზიციის გრძნობით. ჩეხოსლოვაკიელებმა უდიდესი შეუპოვრობა გამოავლინეს. ერთი სიტყვით, ჩინებული სპექტაკლი გამოვიდა. მართალია, ანგარიში კოპეცკიმ გახსნა, მაგრამ ინიციატივას მთლიანად ბრაზილიელები ფლობდნენ. ლეონიდასმა და რობერტომ თითო გოლი გაიტანეს, მატჩი მოიგეს — 2-1 და ნახევარფინალში გავიდნენ. აქ აღინიშნა ბრაზილიელი მწვრთნელის ერთი თავისებური „სვლაც": ადემარ პიმენტა იმდენად დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, რომ ყველა მოთამაშე, რომელიც ბორდოს შეხვედრაში არ მონაწილეობდა, წინასწარ გააგზავნა... მარსელში, სადაც ნახევარფინალური მატჩი უნდა შემდგარიყო!

ბრაზილიელებისა და იტალიელების ნახევარფინალური მატჩი ექსპერტებმა უფრო ფინალისათვის შესაფერისად მიიჩნიეს. ადემარ პიმენტა აცხადებდა, რომ მის გუნდს ფინალში გასვლის ძალა შესწევდა, იტალიელთა მწვრთნელი ვიტორიო პოცო კი თვლიდა, რომ ბრაზილიელები წინა შეხვედრებმა გადაღალა და გაუჭირდებოდათ უწინდელ დონეზე თამაში. ცნობილი გახდა, რომ ლეონიდასი ვერ მიიღებდა მატჩში მონაწილეობას. ბრაზილიური მხარე ირწმუნებოდა, რომ იგი — ფინალური მატჩისათვის დაასვენეს! სინამდვილეში კი დაშავებული იყო და პატესკომ შეცვალა. იტალიელებმა პრესინგს მიმართეს, რაც ძალიან არ მოეწონათ ბრაზილიელებს და უხეშობა დაიწყეს. დაშავდნენ პიოლა, ბიავატი და კოლაუსი. ორივე ნაკრებმა თამაშის მაღალი კლასი აჩვენა. ბრაზილიელების მხრიდან მიმომხილველებმა გამოჰყვეს ლუისინიო, პერასიო, რომეო, ლოპესი და პატესკო. მათმა თამაშმა გულშემატკივრებს დიდი სიამოვნება მოუტანა. „აი, ლეონიდასი რომ გვყოლოდა" — ამბობდნენ ბრაზილიელი ჟურნალისტები. ანგარიში კოლაუსიმ გახსნა. შემდეგ შვეიცარიელმა მსაჯმა ვიუტრიხმა დანიშნა საჯარიმო სილვიო პიოლას წაქცევისათვის. ბრაზილიელებმა ეს საჯარიმო უსამართლოდ მიიჩნიეს. ატყდა ერთი აყალმაყალი. ჯუზეპე მეაცამ გაიტანა მეორე გოლი, რომელსაც რომეომ კი უპასუხა, მაგრამ იტალიელებმა მაინც მიიყვანეს მატჩი გამარჯვებამდე — 2-1. ბრაზილიელებმა თავიანთი დამარცხება სუსტ მსაჯობას მიაწერეს, მათი ნაკრების ხელმძღვანელმა დოქტორმა სელიო დე ბარესმა კი ჟურნალისტებს განუცხადა: „სანამ ფიფა სამართლიან მსაჯობას არ უზრუნველყოფს, სამხრეთამერიკული ნაკრებები ევროპაში არ ჩამოვლენ". მას კვერი დაუკრა ბუენოს-აირესის კლუბ „რივერ პლეიტის" პრეზიდენტმა ალბერტო მარტინმა: „იმის შემდეგ, რაც საკუთარი თვალით ვნახე იტალია-ბრაზილიის მატჩი, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ არგენტინელები ამ ჩემპიონატში არ მონაწილეობენ".

თუმცა ბრაზილიელებს კიდევ რჩებოდათ იმ ჩემპიონატში გასამართი ერთი მატჩი — მესამე ადგილის მფლობელის გამოსარკვევად. შვედებთან შეხვედრაში მინდორზე გამოვიდა გამოჯანმრთელებულ ლეონიდასი, რომელმაც ჩვეული ძალით ითამაშა. მართალია, პირველი ტაიმის შემდეგ შვედები წინ იყვნენ: ანგარიში გახსნა იონასონმა, რომეომ საპასუხო ბურთი კი გაიტანა, მაგრამ ნიბერგმა ისევ დააწინაურა ევროპელები — 2-1. მეორე ტაიმი კი ბრაზილიელების სრული უპირატესობით აღინიშნა: ლეონიდასმა „თავისი" ორი გოლი გაიტანა, პერასიომ კი ერთი. 4-2 — ბრაზილიელებმა გაიმარჯვეს და მესამე ადგილზე გავიდნენ. მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში სამი ბრაზილიელი მოხვდა: მცველი დომინგოსი, ნახევარმცველი ალფონსინი, და, რა თქმა უნდა, ლეონიდასი, რომელიც 8 გატანილი გოლით ჩემპიონატის სნაიპერიც გახდა.

ბივი გამრეკელი

(გაგრძელება იქნება)

---

## FRANCE 98 INFORMATIONS

### სუპერარწივები არ ხუმრობენ

22 აპრილს გერმანიაში უაღრესად საინტერესო ამხანაგური მატჩი გაიმართება — ევროპის ჩემპიონი ნიგერიელთა ეროვნულ გუნდს მასპინძლობს. სუპერარწივთა სერბმა მწვრთნელმა ბორა მილუტინოვიჩმა პრაქტიკულად უძლიერეს შემადგენლობას მოუყარა თავი (რასაც ვერ ვიტყვით მასპინძელთა ნაკრებზე): ***მეკარეები*** — იკე შორუნმიე, ვილი ოკპარა; ***მცველები*** — უჩე ოკეჩუკვუ, ტარიბო ვესტი, გოდვინ ოკარა, უჩე ოკაფორი, ჯერო შაკპოკე, პასკალ პატრიკი, განიუ აჯიდე; ***ნახევარმცველები*** — სტივ მუსა, სანდი ოლისე, ტიჯანი ბაბანგიდა, მეტიუ ადეპოჟუ, გაბრიელ ოკოლოსი, ფინიდი ჯორჯი, ვიქტორ იკპება, აუგუსტინ ოკოჩა, უილსონ ორუმა; ***თავდამსხმელები*** — ნვანკვო კანუ, ჯონათან აკპობორი, დანიელ ამოკაჩი, ჯეიმს ობიორა.

ამასობაში ბრიტანეთის მთავრობამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც გამოთქმულია იმედი, რომ საფრანგეთი მხარს დაუჭერს ევროგაერთიანების სანქციას ნიგერიის წინააღმდეგ და ამ ქვეყნის ხელისუფალს გენერალ სანდი აბაჩას ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებზე დასასწრებად და ლამანშის ნაპირებზე შესასვლელი ვიზა არ მისცეს. თურმე, ნუ იტყვით, აბაჩას კანონიერი პრეზიდენტობა სურს და საამისოდ მონდიალის დამთავრების შემდეგ არჩევნებიც დაუნიშნავს. რათა ხალხს დაუახლოვდეს, გენერალს გადაუწყვეტია საფრანგეთში გასამგზავრებელ გულშემატკივართა ჯგუფს შეერიოს და ამით უბრალო ნიგერიელებს გული მოულბოს.

თუმცა, თავი დავანებოთ გენერალ აბაჩას და კვლავ ნიგერიელთა ნაკრებს დავუბრუნდეთ. ბორა მილუტინოვიჩის აზრით, სუპერარწივთა გუნდს საფრანგეთში ძალა შესწევს მოიგოს ჩემპიონატი. ფინალში სერბის თქმით, ბრაზილია და ნიგერია გავლენ. „მხოლოდ მსოფლიო თასი — სხვა შედეგი წარუმატებლად იქნება მიჩნეული. სუპერარწივებს ძალა შესწევთ საამისოდ" — პათეთიკურად განაცხადა მილუტინოვიჩმა.

### გაიკარით ჯიბეზე ხელი

ფეხბურთში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე დასასწრებად, რომელიც 12 ივლისს სენდენის 80-ათასიან „სტად დე ფრანსზე" გაიმართება, მაყურებელს მინიმუმ 350 ფრანკის (58 დოლარი) დადება მოუწევს.

„საფრანგეთი-98"-ის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელთა თქმით გადამწყვეტ თამაშებზე ბილეთები დაყოფილია 4 კატეგორიად — ზემონახსენები თანხის გარდა 950 ფრანკიანი (158 დოლარი), 1750 (290) და 2950 (490).

ნახევარფინალურ ასპარეზობაზე ადგილი ეღირება 300 ფრანკიდან (50 დოლარი) 1850-მდე (308), მეოთხედფინალზე — 250 (40)-დან 750 (125)-მდე. დაბოლოს, ჩემპიონატის გახსნის თამაშზე 10 ივნისს იმავ სენ-დენიში ბრაზილიისა და შოტლანდიის ნაკრებებს შორის გულშემატკივრები დასასწრებად გადაიხდიან 200 ფრანკიდან (33 დოლარი) 1250 (208)-მდე.

### შეიძლება ლეჩკოვი დაისაჯოს

შეიძლება ისე მოხდეს, რომ ბულგარეთის ნაკრების წამყვანმა ნახევარმცველმა იორდან ლეჩკომა ვერ მიიღოს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა. რატომ?

საქმე ის არის, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ატყდა დიდი აყალმაყალი! ლეჩკომა თვითნებურად დატოვა თავისი კლუბი, სტამბოლის „ბეშიქთაში", რათა მონაწილეობა მიეღო ბულგარეთის ნაკრების არგენტინულ ტურნეში.

ამასთან დაკავშირებით, თურქულმა კლუბმა ფიფას საჩივრით მიმართა და ახლა შეიძლება ფეხბურთელი სასტიკად დაისაჯოს კიდეც. თვით ლეჩკომა სოფიის გაზეთ „სპორტის შვიდი დღის" კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაციას არ ფლობს. ბულგარეთის ნაკრების მთავარი, მწვრთნელი ხრისტო ბონევი კი მოერიდა საკითხის შემდგომ გამწვავებას და ამიტომ არ გამოიძახა ლეჩკოვი მაკედონიელებთან ამასწინანდელ ამხანაგურ მატჩში მონაწილეობისათვის.

### ოღონდ ნაკრებში ითამაშოს

ბელგიის ნაკრების მეკარე ფილიპ დე ვილდე, რომელიც ლისაბონის „სპორტინგში" თამაშობდა, სამშობლოში დაბრუნდა და ბრიუსელის „ანდერლეპტთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს დე ვილდემ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მიიღოს. საქმე ის არის, რომ ბელგიელთა მწვრთნელი ჟორჟ ლეიკენსი ნაკრების კანდიდატებს აუცილებელ პირობად უდებს კლუბების ძირითად შემადგენლობაში თამაშს, რათა მათ სათანადო პრაქტიკა ჰქონდეთ. დე ვილდეს ლისაბონის „სპორტინგის" ძირითად შემადგენლობაში იშვიათად უხდებოდა თამაში, ახლა კი სისტემატურად იცავს ბრიუსელის „ანდერლეჰტის" კარს.

### ვარსკვლავები კი დაფრინავენ

მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური სატრანსპორტო სპონსორმა საფრანგეთის ავიაკომპანია „ეირ ფრანსმა" გადაწყვიტა თავისი 11 თვითმფრინავი 32 საფეხბურთო ვარსკვლავის (თითო ქვეყნიდან თითო წარმომადგენლის) პორტრეტებით დაამშვენოს. თითოეული ვარსკვლავის პორტრეტი დაახლოებით 21 მეტრის სიდიდის იქნება.

ერთი სიტყვით, ფეხბურთის ვარსკვლავები ჩემპიონატის დაწყებამდე დედამიწის ყველა კონტინენტზე იფრენენ და გულშემატკივრებს უდიდესი სპორტული დღესასწაულის მოახლოებას გაახსენებენ. შემდეგ კი ეს თვითმფრინავები ყველა ქომაგს საფრანგეთის გზას გაუყენებს.

FRANCE 98 INFORMATIONS

FRANCE 98 INFORMATIONS

## გამოდის, ანტიჩი რეკორდსმენია?!

როგორც ცნობილია, ესპანეთში მწვრთნელებს დიდხანს არ აჩერებენ. ეს ეხება წამყვან კლუბებს, რომლებისგანაც ბევრს მოითხოვენ. ერთი-ორი სეზონი და...

როგორც ამას წინათ ცნობილი გახდა, მომავალი სეზონიდან მადრიდის „ატლეტიკოში“, რომელსაც მეტად ჭირვეული პრეზიდენტი ხესუს ჰილი ჰყავს, აღარ იმუშავებს იუგოსლაველი სპეციალისტი რადომირ ანტიჩი. მან „ატლეტიკოში“ თითქმის სამი წელიწადი დაჰყო. პირველ სეზონში გასაოცარ წარმატებას მიაღწია – გუნდი ესპანეთის ჩემპიონიც გახდა და თასის მფლობელიც. შარშან ანტიჩის ხელმძღვანელობით „ატლეტიკო“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა, წელს – უეფას თასის ნახევარფინალში.

და აი რა გამოირკვა – სულ სამწლიანი „სტაჟის“ მქონე ანტიჩი რეკორდსმენი ყოფილა ამჟამად ესპანეთის პირველ დივიზიონში მომუშავე მწვრთნელებს შორის. სხვებს ამდენ ხანსაც კი არ აჩერებენ.

## როჟე მილა? რატომაც არა!

მას შემდეგ, რაც კამერუნის ნაკრების მწვრთნელი ჟან მანგა ონგენე გადადგა, ამ ქვეყნის ფეხბურთის მესვეურები გაფაციცებით ეძებენ შემცვლელს. ასახელებენ სხვადასხვა კანდიდატს, მათ შორის ლეგენდარულ როჟე მილასაც, რომელიც ახლა 46 წლისაა. კამერუნის ნაკრები სამჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და სამჯერვე მის რიგებში წამყვანი მოთამაშე როჟე მილა ბრწყინავდა.

ბოლო ხანებში მილა ცნობილ ფრანგულ კლუბ „მონპელიეს“ სკაუტად (მოხეტიალე მწვრთნელად, ტალანტების მძებნელად) მუშაობდა. ახლა იგი კამერუნში დაბრუნდა.

## ინგლისელი ჩინეთის ნაკრების სათავეში

ჩინეთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში ვერაფრით გამოიჩინა თავი. ამიტომ გადაწყდა გუნდის სათავეში უცხოელი სპეციალისტის მიწვევა და არჩევანი არც თუ ისე ცნობილ სპეციალისტზე – ბობ ჰაფტონზე შეჩერდა.

ვინ არის ეს ბობ ჰაფტონი? ჯერჯერობით მის მთავარ მიღწევად ითვლება შვედური „მალმიოს“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში გაყვანა 1977 წელს. საინტერესოა, რომ მაშინ ჰაფტონთან მეორე მწვრთნელად მუშაობდა ახალგაზრდა, დღეს კი განთქმული მწვრთნელი როი ჰოჯსონი. ახალ ხელმძღვანელს პასუხსაგები ამოცანა ეკისრება – ჩინელების მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალში გაყვანა.

უეფას მესვეურებმა გააუქმეს თავიანთი ადრინდელი გადაწყვეტილება ინგლისის ლიგის თასზე გამარჯვებულის უეფას თასზე არდაშვების შესახებ. ეს სანქცია ინგლისელთა წინააღმდეგ თავდაპირველად იმიტომ მიიღეს, რომ ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ უარი უთხრა უეფას თავისი პრემიერ-ლიგის შემადგენლობა 20-დან 16-მდე შეემცირებინა.

## მინისტრობას კომენტატორობა სჯობია?!



პელემ განცხადება შეიტანა ბრაზილიის სპორტის მინისტრის თანამდებობიდან მისი განთავისუფლების შესახებ, რათა ივნის-ივლისში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების კომენტატორობის საშუალება ჰქონდეს.

მსოფლიო ჩემპიონატი რომ დამთავრდება, პელე არ გამორიცხავს თავის ძველ თანამდებობაზე დაბრუნებას. იგი ხომ მინისტრის პოსტზე უკვე რამდენიმე წელია მუშაობს.

FRANCE 98 INFORMATIONS

# ქრონოლოგიური ბალადა მკვდრეთით აღდგარზე



### ნვანკვო კანუ

დაიბადა 1976 წლის 1 აგვისტოს ოვერრიში (ნიგერია)
სიმაღლე – 198 სმ; წონა – 80 კგ
კლუბები: „ფედერალ უორკსი“ (ნიგერია) – 1991-92;
„ივანიანვუ“ (ნიგერია) – 1992-93;
„აიაქსი“ (ჰოლანდია) – 1993-96.
1996 წლიდან გამოდის მილანის „ინტერში“, რომელთანაც კონტრაქტით 1999 წლის 30 ივნისამდეა დაკავშირებული.
მიღწევები: ჰოლანდიის ჩემპიონი (1994, 1995, 1996)
ჰოლანდიის თასის მფლობელი (1995, 1996)
ჩემპიონთა ლიგის თასის მფლობელი (1995)
სუპერთასის მფლობელი (1995)
საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (1995)
ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1996)

### 1996 წლის 16 აგვისტო

ატლანტის ოლიმპიადის ფინალური მატჩიდან ორი კვირის შემდეგ, „ინტერის“ წარმომადგენლები სულმოუთქმელად მოელოდნენ მილანის აეროპორტში 20 წლის ნიგერიელს. „ინტერის“ პრეზიდენტის მასიმო მორატის თქმით, კანუ ბედნიერად გამოიყურებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ იტალიურად ორ სიტყვასაც ვერ აბამდა, მის ირგვლივ მყოფთ ყმაწვილური ენთუზიაზმით აღაგზნებდა. „ინტერი“ კი იმ დროისათვის ესპანეთში გასამგზავრებლად ემზადებოდა წინასასეზონო ტურნეზე და კანუსთანაც მყისვე გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი. წესით და რიგით, კანუს ტრანსფერის გაფორმებამდე სახელდახელო სამედიცინო გამოკვლევა უნდა გაევლო, მაგრამ მაშინ აბა ვინ მოიაზრებდა, რომ ფეხბურთელი, რომელიც ოთხი სეზონი თამაშობდა „აიაქსში“, იყო ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, ატლანტის ოლიმპიადის ფინალურ მატჩში (ბრაზილიასთან) ორი გოლის გამტანი, მძიმე ავადმყოფი შეიქმნებოდა? თანაც „აიაქსის“ სამედიცინო სერტიფიკატითა და ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, კანუ პრაქტიკულად ჯანმრთელი გახლდათ.

მილანში ჩამოსვლიდან ორი დღის შემდეგ, 18 აგვისტოს, კანუმ პირველად მოირგო „ინტერის“ მაისური „სელტასთან“ მატჩის დროს. შემდეგ „ანდერლეხტთან“ და „ბარსელონასთან“ „სელტას“ მსგავსად შეცვლაზე შემოსულმა ითამაშა, ხოლო 24 აგვისტოს კი „ვინჩენცასთან“ მოედანზე მთელი 90 წუთი დაჰყო. დებიუტი წარმატებული გამოდგა – „ინტერის“ ინგლისელ მწვრთნელ როი ჰოჯსონსა და იტალიურ პრესას ქება არ დაუშურებიათ კანუსათვის, რომლისთვისაც ეს მატჩი 1996-97 საფეხბურთო სეზონში ბოლო გამოდგა – კანუ მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ დაუბრუნდა ფეხბურთს და მილანის „ინტერს“.

### 1996 წლის 27 აგვისტო

იტალიელმა კარდიოლოგმა, პროფესორმა ბრუნო კარუმ პირდაპირ პასუხს თავი არ აარიდა და განაცხადა: „ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თუ კანუ ფეხბურთის თამაშს კვლავ გააგრძელებს, შესაძლოა მოკვდეს“. იტალიაში კი ბრუნო კარუ ავტორიტეტია – მან ერთ დროს დიდ კალათბურთში დააბრუნა ნაკრების მოთამაშეები მორანდოტი და ფუჩკუ (რომლებიც ინვალიდებად იყვნენ შერისხულნი) და მისმა სიტყვებმა სასიკვდილო განაჩენივით გაიჟღერა. აორტის კლაპანის დისფუნქცია – ასეთი გახლდათ დიაგნოზი. არადა, კანუ არასდროს უჩიოდა ტკივილებს გულმკერდის არეში, არც არითმია თუ სხვა რამ აწუხებდა. ანომალია ბრუნო კარუმ ფეხბურთელს ელექტროკარდიოგრამის შედეგად აღმოუჩინა. ასეთი პროცედურა ნვანკვოს ხომ რამდენიმეჯერ ექნებოდა გავლილი „აიაქსშიც“, რატომ ვერაფერი აღმოუჩინეს იქაურმა ექიმებმა? „ინტერის ხელმძღვანელობამ „აიაქსს“ კანუს სამედიცინო ანკეტა მოსთხოვა, მაგრამ ჰოლანდიელებმა, ცოტა არ იყოს, უცნაური პასუხი შემოუთვალეს – თქვენ საქმეს თქვენვე მიხედეთო. მასიმო მორატიმ, რა თქმა უნდა, ერთი-ორი მწარე სიტყვა ესროლა „აიაქსს“, მაგრამ ეს იყო და ეს. „ძალზედ დასანანია,



რომ კანუს თავისი ბრწყინვალე კარიერის დასამარება მოუწევს. მაგრამ მას შეუძლია ნორმალური, სრულფასოვანი ცხოვრებით იცხოვროს. რაც შეეხება საფეხბურთო მოედანზე მის გამოსვლას, ეს გამორიცხულია. თუ კანუ თამაშს გააგრძელებს, ავადმყოფობის პროგრესირება გარდუვალია და მაშინ მან კარგ ქირურგს უნდა მიმართოს ხელოვნური კლაპანის ჩასადგმელად. არის ერთი პარადოქსიც – ავადმყოფობა კანუს გამძლეობას მატებდა, მისი გული მარათონელის გულს ჰგავს“ – ასე თვლიდა ბრუნო კარუ. ნვანკვო კანუმ სხვა ექიმებსაც მიმართა, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა ნუგეშის ნაცვლად ისიც უთხრა, რომ ფეხბურთის თამაშის გაგრძელება კი არა, სასიკვდილო დაავადება გჭირს და შესაძლოა ოპერაციის შემდეგაც დიდი დღე აღარ გეწეროსო.

### 1996 წლის სექტემბერი

კანუმ კი კვლავ ამსტერდამს მიაშურა, თუმცა ჰოლანდიელმა ექიმებმაც ბრუნო კარუს დიაგნოზი დასვეს. შემდეგ ნვანკვო მილანში დაბრუნდა და ისეთი დათრგუნული იყო, რომ თანაგუნდელებთან შეხვედრასაც გაურბოდა. „როცა საფეხბურთო მინდორს ვუყურებ, ტირილი მინდება“ – ამბობდა ის, მაგრამ თვით „ინტერს“ კანუსთვის ზურგი არ შეუქცევია. წმინდა ადამიანური თანადგომის გარდა, კომერციული ფაქტორიც არსებობს (ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი) – მილანელებმა ნიგერიელში „აიაქსს“ ხომ რვა მილიარდი ლირა ჩაუთვალეს. მასიმო მორატიმაც განაცხადა, რომ კანუს მსოფლიოში საუკეთესო კლინიკასა და კარდიოქირურგს გამოუძებნიდა, არავითარ ხარჯებზე უკან არ დაიხევდა. „ინტერის“ პრეზიდენტი სიტყვის კაცი გამოდგა და კანუ კლივლენდის (აშშ) კლინიკაში მიავლინა კარდიოქირურგ ჯონ კრემერთან.

კლუბის თავკაცთა ოპტიმიზმმა ნვანკვოც გაამხნევა და კლივლენდში გამგზავრებამდე ნიგერიას მიაშურა, სადაც ყველა ერის საერთო ტაძარი ეგულებოდა, ამ ტაძრის წინამძღვარ პასტორ ჯოშუას თავი ღვთის კაცად მოაქვს და მძიმე ავადმყოფების თანადგომითა და მკურნალობითაა დაკავებული. ჯოშუამ კანუს არ ურჩია კლივლენდში წასვლა, მისი აზრით, ნვანკვოს პასტორის მისტიკური ხელი და ლოცვები გამოაჯანმრთელებდა. მაგრამ 20 წლის ინვალიდმა არ ინება მთლიანად მინდობოდა ჯოშუას. „ღვთის ნება მხოლოდ მოძღვრის სიტყვებით კი არა, ქირურგის ხელებითაც აღსრულდება“ – ამ სიტყვებს კანუ უკვე წარმატებული ოპერაციის შემდეგ ამბობდა...

### 1996 წლის 27 ნოემბერი

იტალიელი მედიკოსების საპირისპიროდ, რომლებსაც კანუ განწირული ჰყავდათ, ამერიკელი ექიმები ნიგერიელის გამოჯანმრთელების დიდ შანსებს წინასწარმეტყველებდნენ. სახელგანთქმული მაიკლ დებეიკი, რომელმაც რუს ქირურგებს სახელდახელო კონსულტაცია ჩაუტარა ბორის ელცინის ოპერაციის წინ, მეტად ოპტიმისტურად იყო განწყობილი მედიკოსთა კონსილიუმზე: „თუ გავითვალისწინებთ პაციენტის ახალგაზრდულ ასაკს და იმასაც, რომ სხვა მხრივ ის სრულიად ჯანმრთელია, ოპერაციის რისკი სერიოზულად არ მიმაჩნია“. მოკლედ, 1996 წლის 27 ნოემბერს კლივლენდის კლინიკაში ნვანკვო კანუს ო.თხსაათიანი ოპერაცია გაუკეთეს. „ინტერის“ წარმომადგენელთა თქმით, ნიგერიელს აორტის ხელოვნური კლაპანი ჩაუდგეს, მაგრამ მას შემდეგ ამერიკელებმა შესწორება შეიტანეს ოპერაციის სცენარში – კანუს თავისი კლაპანი შერჩა, მხოლოდ ანომალია მოაცილეს. ამას ხომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ხელოვნური კლაპანით კანუს ნორმალური ცხოვრება კი შეეძლო, მაგრამ პროფესიულ საფეხბურთო კარიერას ველარ შესძლებდა. თავისი კლაპანით ახლა მას უკვე შეუძლია რეაბილიტაციის პროგრამა დაიწყოს, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ დადებით შედეგს გამოიღებს“ – ამბობდა ჯონ კრემერი, რომელმაც ითავა კანუს ოპერაცია.

### 1997 წლის 6 აპრილი

ოპერაციიდან 4 თვის შემდეგ კანუმ პირველი მატჩი ითამაშა, რა თქმა უნდა, არაპროფესიონალურ დონეზე – ერთმანეთს ორი სხვადასხვა ამერიკული უნივერსიტეტის გუნდები ხვდებოდნენ. ნვანკვომ სამი ბურთი გაიტანა და, რაც მთავარია, ყველა გააოცა კარგი ფიზიკური კონდიციებით.

„ვარჯიში იანვრის ბოლოს დავიწყე. ახლა უფრო მეტ ჯანზე ვარ, ვიდრე ოპერაციამდე. ამერიკაში კუნთების გაზრდა-გამაგრებაზე დავიწყე ვარჯიში, რასაც სპეციალურად ადრე არასდროს ვაკეთებდი. ამდენი გამოცდისა და ტანჯვის შემდეგ, სულიერადაც მოვმძლავრდი. მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ტალანტი ძველებური შემრჩა. რაც უნდა გადამხდეს თავს, ტალანტი ყოველთვის ჩემთან იქნება“ – ასე კეკლუცობდა კანუ.

ამის შემხედვარე ნიგერიის ნაკრების თავკაცმა ფილიპ ტრუსიემ (რომელიც შემდეგ მილუტინოვიჩმა შეცვალა) კანუს გუნდთან ერთად ვარჯიში შესთავაზა, მაგრამ ნვანკვომ უაზრო რისკი არ გასწია. ის ცოტა ხნით მშობლიურ ოვერრიში (ნიგერია) გადაბარგდა, რათა დრო ოჯახთან გაეტარებინა. მილანში გამგზავრებამდე კი ლაგოსშიც (ნიგერიის ყოფილი დედაქალაქი) შეიარა, სადაც ათობით ათასამდე გულშემატკივარმა ფანტასტიკური შეხვედრა მოუწყო, რომლებიც კანუს დარად მომხდარს, ღმერთის სასწაულს უწოდებდნენ. თვით ნვანკვო კი ყველაფერ ამას ასეთ კომენტარს ურთავდა: „ნიგერიელებმა იციან, რომ მე კარგი ფეხბურთელი ვარ და ჩემი ქვეყნისთვის ბევრი გამიკეთებია. ისინი ამისთვის მადლობას მიხდიან. ჩვენ ყველას ღმერთის გვწამს. ღმერთს ყველაფერი შეუძლია. მხოლოდ ღმერთს შეუძლია გააკეთოს ის, რისი გათვითცნობიერება ჩვენ არ შეგვიძლია. ამიტომაც ვთვლი, რომ ნიგერიელები მართალნი არიან, როცა ამბობენ, რომ მე სასწაული გადამხდა თავს“.

### 1998 წლის 15 თებერვალი

ამ საფეხბურთო სეზონში სერია a-ს XX ტურში (ერთმანეთს „ინტერი“ და „ფიორენტინა“ ხვდებოდნენ) კანუ კვლავ გამოჩნდა მოედანზე „ინეტრის“ მაისურით. „მანამდე ვგრძნობდი, რომ შემეძლო მთელი ძალით თამაში. თანაგუნდელებთან ერთნაირი დატვირთვით ვვარჯიშობდი. ისინი სულ მამხნევებდნენ და მეუბნებოდნენ, რომ უკვე დროა ნაღდ საქმესაც შევუდგე. დღესდღეობით კი ჩემი ერთადერთი ოცნებაა „ინტერს“ ჩემპიონატის ფინიშზე დავეხმარო, რათა „იუვენტუსს“ გადავასწროთ“ – არ მალავს თავის ამბიციებს კანუ. მასიმო მორატის კი უკვე აქვს იმაზე ფიქრის საფუძველი, რომ მომავალ სეზონში რონალდო-კანუს თავდასხმის დუეტი საუკეთესო იქნება მსოფლიოში...

მოამზადა
„ლელოს“ უცხოეთის სპორტის
განყოფილებამ



(პირველი გვერდიდან)

ბსაც ხშირად გამოსთქვამდნენ მსაჯების მიმართ. სწორედ ამ დროს მწვრთნელმა ომარ ხმელიძემ წუთშესვენება აიღო, გუნდი დაამშვიდა, რამაც შედეგიც გამოიღო. გოგობერიშვილისა და ჯაფარიძის ზუსტი სროლებით „აზოტმა" ანგარიში კარდინალურად შეცვალა თავის სასარგებლოდ და პირველი ტაიმი 34:31 მოიგო.

მეორე ნახევარი უფრო საინტერესო და დრამატული გამოდგა. რუსთავმა თითქოს „დამატებითი ძრავა" აამოქმედა და სრულ უპირატესობას დაეუფლა ყველა სათამაშო კომპონენტში. ჩერქეზიშვილმა ამ შეხვედრაში უყურადღებოდ ითამაშა, ოთხჯერ დაკარგა ბურთი საკუთარ მოედანზე, რითაც მოწინააღმდეგემ ისარგებლა და უფრო დაწინაურდა, ამგვარი შეცდომები სდასუს მრავალი ჰქონდა, ერთი შეხედვით თითქოს არაფერი, მაგრამ სწორედ ასეთმა შეცდომებმა და უყურადღებობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა. მას შემდეგ, რაც რუსთაველმა ბერუაშვილმა ვადამდე ადრე 5 პერსონალურის გამო დატოვა მოედანი, ჭაფარიძემ თამაში თავის თავზე აიღო და შეუჩერებელი გახდა. მისი ყველა ნასროლი მიზანს აღწევდა. მას მხარი აუბა გოგიბერიშვილმა, რომლის „განეიტრალება" ვერავინ შესძლო. შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე, ყველაფერი გარკვეული იყო, „აზოტი" დამაჯერებლად მოქმედებდა, მაგრამ პატარა წაფორხილება, მორიგი ფსიქოლოგიური აშლილობა და სდასუმ 25 წამში 6 ქულა „ამოქაჩა". მაგრამ ეს იყო და ეს. რამდენჯერაც დაჯარიმდნენ სდასუელები, იმდენჯერვე გოგობერიშვილმა ზუსტად ჩააგდო საჯარიმო ტყორცნები, ბოლო წამზე კი მანვე ეფექტურად მოათავსა ბურთი კალათში, რითაც მრავალრიცხოვან რუსთაველთა აპლოდისმენტებიც დაიმსახურა.

### ამ მატჩამდე გამართული სხვა შეხვედრები

**სდასუ – აზოტი 83:81 (1-2)**

***სდასუ:*** **ჩერქეზიშვილი (10), ჩხეიძე (4), სანაძე (35), ნაცვლიშვილი (14), ოთიურიძე (9), აბულაძე (3), მუშკუდიანი (8), ტაბატაძე.**
***აზოტი:*** **გაბისონია (10), წიკლაური, გოგობერიშვილი (16), ბოისა (19), ჯაფარიძე (27), კიკვიძე (3), ბერუაშვილი (6).**

სდასუმ, როგორც იქნა, იმარჯვა, მაგრამ „დიდი ოფლიც" დაღვარა. ამ შეხვედრაშიც პირველ ბურთს კვლავ რუსთაველები დაეუფლნენ და ზუსტადაც დააგვირგვინეს შეტევა. თუმცა, მალე, ჩერქეზიშვილმა სამქულიანი ჩააგდო და დააწინაურა თავისი გუნდი. ჩანდა, რომ თბილისელი კალათბურთელები გამარჯვებისათვის იყვნენ შემართულნი. რუსთაველთა მხრიდან ამჯერად თამაში არ წაუვიდა ახალგაზრდა წიკლაურს და მწვრთნელმა აღარც ათამაშა იგი. პირველი ნახევრის შუაწელამდე თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მე-10 წუთითადნ კი „სადავეები" თბილისელმა კალათბურთელებმა აიღეს ხელში და ფარქვეშ ჩხეიძის დიდებული გასვლების წყალობით 7 ქულით წინ გაიჭრნენ. სანაძეც, ბოლო ორი თამაშისაგან განსხვავებით, როგორც იქნა, ამოქმედდა. მართალია, პირველმა სამმა სროლამ მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ მეოთხე მცდელობამ ნაყოფი გამოიღო და ნავსი გატყდა. თამაში არ წაუვიდა ჯაფარიძეს, რომელმაც ფარქვეშ მდგომმა ნაღდი ბურთები ვერ მოათავსა კალათში. პირველი ნახევარი სდასუმ მოიგო (35:26). მეორე ნახევარი იგივე სცენარით წარიმართა. ჩერქეზიშვილი – ჩხეიძე ხანგრძლივად ათამაშებდნენ ბურთს, ბოლოს სანაძე და – მორიგი სამი ქულა. საერთოდ, ამ შეხვედრაში სდასუს ვეტერანმა ბრწყინვალედ ითამაშა. სნაიპერმა 9 სამქულიანი ტყორცნა განახორციელა, ოთხი ბურთი მოხსნა და ორიც ჩაჭრა. შეხვედრის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე ქულათა სხვაობამ 15-ს მიაღწია. ამასთან, ყველა სათამაშო კომპონენტში სტუდენტები სჯობდნენ მეტოქეს.

შეხვედრის ბოლო წამებზე მოვლენები კარდინალურად შეიცვალა. როცა ანგარიში იყო 80:76 სდასუს სასარგებლოდ, ჯაფარიძე ფარქვეშ შევიდა, ჩააგდო ბურთი და ჯარიმის უფლებაც მიიღო. ზუსტმა ტყორცნამ სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა. სდასუს გუნდში დაბნეულობა სუფევს, ბურთის გამოტანისას ისინი შეცდნენ, გადაცემას „აზოტი" დაეუფლა, გოგობერიშვილმა ბოლომდე გაათამაშა და საფინალო სირენამდე 6 წამით ადრე ჩხეიძე ჯარიმდება. გოგობერიშვილმა ორივე საჯარიმო ჩააგდო. ნაცვლიშვილმა სწრაფადვე გადაგზავნა ბურთი მეტოქის ნახევარზე, „აზოტმა" კვლავ ჩაჭრა გადაცემა. თამაშის დამთავრებამდე 1,3 წამია, რუსთავის გუნდი უკვე ზეიმობს ფინალში გასვლას, მაგრამ როგორც შემდეგ გამოჩნდა, ნაადრევად: ჩხეიძემ გვერდითი ხაზიდან სწრაფად გადააწოდა ბურთი აბულაძეს, რომელმაც ზუსტი ტყორცნით გამარჯვება მოუტანა სდასუს.

**ვითა – დინამო 114:87 (3-0).**

***ვითა:*** **აბრამიძე (17), დავითულიანი (12), ორმოცაძე (31), მიქაძე (2), ჩუბინიძე (15), გაგნიძე (2), ტუღუში (2), კორძაძე, ლოსაბერიძე (10), ტურაშვილი (13), კოკოლიშვილი (10).**
***დინამო:*** **მაისურაძე (10), შანიძე (17), ბეჟანიშვილი (25), ქევხიშვილი, ნინიაშვილი (17), ბერია (4), კილაძე (2), მეჭურჭლიშვილი, ნათაძე (12).**

მას შემდეგ, რაც შენგელია და ხოშტარია გამოაკლდნენ გუნდს, ყველაფერი ნათელი გახდა: „ვითას" დიდი შანსი გაუჩნდა ფინალში გასასვლელად. მესამე თამაში მათი სრული უპირატესობით წარიმართა. კვლავ გამოირჩეოდნენ ორმოცაძე და აბრამიძე, ამ უკანასკნელმა ოთხი სამქულიანი ჩააგდო და ზუსტი, გამჭოლი პასებით ამარაგებდა ფარქვეშ პარტნიორებს. „დინამოს" რიგებში ლიდერობა კვლავ მაისურაძემ იტვირთა, მაგრამ წინა შეხვედრისაგან განსხვავებით, თამაში არ წაუვიდა, რამდენიმეჯერ ბურთი ტყუილ-უბრალოდ დაკარგა, მიუხედავად ამისა ენერგიით და ჟინით თამაშობდა. პირველი ტაიმის მეორე ნახევრიდან ანგარიში ნელ-ნელა იზრდებოდა „ვითას" სასარგებლოდ და ერთხანს სხვაობამ 34 ქულასაც კი მიაღწია. მეტოქე შეეგუა, რომ ფინალში ვერ ითამაშებდა და მისი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი, როგორც რიგითი გულშემატკივარი, ამჯერად დინჯად ადევნებდა თვალს მატჩს.

შეხვედრის მიწურულს „ვითამ", როგორც ყოველთვის, ხუთივე ძირითადი მოთამაშე გამოცვალა და მოედანზე ახალგაზრდები გაიყვანა, მათაც იმედები არ გაუცრუეს მწვრთნელს ზურაბ ტომარაძეს და კომბინაციური, ლამაზი შეტევების დაგვირგვინებით გულშემატკივართა მოწონებაც დაიმსახურეს.

გოგა ლომიძე

*პირველი და მეხუთე ადგილებისთვის მატჩები გაიმართება 28-29 აპრილს.*

## კალათბურთი

მსაჯს აგინო დედა, მერე ჩასცხო წიხლი –
ასეთია სპორტში უახლესი „ნიხრი"...
ერთმანეთის წყენა აღარ გვიღირს გროშიც –
ასეთია წესი ამ უზნეო დროში...

თამაზ ებანოიძე

დოპინგი

## დოპინგკონტროლი ამხელს ჩინელებს

პეკინში გამოცხადდა, რომ 24 ჩინელი სპორტსმენი – მათ შორის 18 ქალი, დოპინგკონტროლმა ამხილა 1997 წელს აკრძალული პრეპარატების მიღებაში, ისინი თავიანთ მწვრთნელებთან ერთად დაისაჯნენ.

ესენია – მძლეოსნები, ძალოსნები, მოჭიდავეები, მოკრივეები, ველოსიპედისტები, ნიჩბოსნები.

ვარსკვლავთა შორის დოპინგს მისძალებია სიგრძეზე მხტომელი, ჩინეთის ჩემპიონი იან ცინი. შარშან სულ 21 სპორტსმენის დოპინგის სინჯმა დადებითად „უპასუხა".

გადაწყდა ქვეყანაში დოპინგკონტროლის განსაკუთრებული გამკაცრება მოცურავეთათვის, რომელთაც სამუდამო დისკვალიფიკაცია ელით.

## თენგიზ ახალშენიშვილი



საქართველოს ვეტერან სპორტსმენთა და სპეციალისტთა რიგებს მოულოდნელად და უდროოდ, 46 წლისა გამოაკლდა სპორტის ოსტატი თანამედროვე ხუთჭიდში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, შესანიშნავი პიროვნება თენგიზ ახალშენიშვილი.

მთელი მისი ცხოვრება დაკავშირებული იყო სპორტთან. ჭაბუკობიდან ცურვას მისდევდა, მერე არჩევანი გააკეთა ყველაზე რთულ და ვაჟკაცურ სპორტის სახეობაზე, თანამედროვე ხუთჭიდზე. თავის უფროს ძმასთან, ნიკოლოზთან და თანაგუნდელებთან ერთად იცავდა საქართველოს სპორტულ ღირსებას სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, „ბურევესტნიკის" საკავშირო საბჭოს ჩემპიონი და პრიზიორი, სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მოპოვებული ჰქონდა ბრინჯაოს მედალი, ყველგან, სადაც კი გამოდიოდა, ავლენდა შესაძლებლობების მაქსიმუმს, კლუბის თუ ეროვნული ნაკრების წევრებს აძლევდა სპორტული თავდადებისა და მაღალზნეობის სანიმუშო მაგალითს.

საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდელთა მცირერიცხოვან, მაგრამ სპორტული შედეგებით სახელგანთქმულ უაღრესად მეგობრულ ოჯახში იგი ღირსეული წევრი იყო, გამორჩეული ჭეშმარიტად რაინდული ბუნებით, თანადგომით, ახალგაზრდების აღზრდის პროფესიული დონით. დიდხანს იმუშავა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტში მრავალჭიდის კათედრის უფროს მასწავლებლად, პარალელურად მუშაობდა მწვრთნელად.

თენგიზ ახალშენიშვილის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მათ გულებში, ვინც ქართული სპორტის ამ თვალსაჩინო წარმომადგენელს ახლოს იცნობდა, ვისთანაც უასპარეზია, უმეგობრია და თავისი ცოდნა გადაუცია.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია, საქართველოს ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემია.

თენგიზ ახალშენიშვილის პანაშვიდი გაიმართება კვირას და ორშაბათს 17 საათზე, გამოსვენება – სამშაბათს 15 საათზე. მისამართი; ნუცუბიძის III მ/რ, II კვ. VII კორპ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, მსაჯთა კორპუსი და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 65 წლისა გარდაიცვალა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი,
თენგიზ (ჯანგირ) გრიგორაშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## „ჩემზე კომუნისტური ბანდა ნადირობს"

(მეორე გვერდიდან)

წელს წარდგენილი ანგარიშიდან: „ამჟამად ანაბოლური სტეროიდები ყველა სახეობაში გამოიყენება, გარდა აფროსნობისა და ქალთა ტანვარჯიშისა. სტეროიდების პოზიტიური გავლენა სპორტული შედეგების განვითარებაზე უეჭველია. მათი დახმარებით მაჩვენებლები ასე შეიძლება გაიზარდოს: ქალთა ბირთვის კვრაში – 4,5-5 მეტრით, ქალთა ბადროში – 11-20 მეტრით, ქალთა შუბის ტყორცნაში – 8-15 მეტრით. შედეგები ქალთა რბენაში 400 მეტრზე უმჯობესდება 4-5 წამით, 800 მეტრზე კი – 5-10 წამით. შესანიშნავი შედეგი აღინიშნება აგრეთვე ქალთა ცურვაში".

არსებითად, პროფესორ ფრანკეს დოკუმენტები სავსებით აშკარა ფაქტებს ადასტურებს. გდრ-ის ცენტრალური დოპინგ-კონტროლის ლაბორატორია ძირითადად იმისათვის გამოიყენებოდა, რომ ათლეტებს უცხოეთში დოპინგის გავლისას ჩავარდნა აეცდინათ. იგივე ხდებოდა სსრკ-ში, სადაც საპასუხისმგებლო შეჯიბრებებზე გამგზავრების წინ სპორტსმენები საიდუმლო დოპინგ-კონტროლს გადიოდნენ. დოპინგის სფეროში გდრ-სა და სსრკ-ს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, ხოლო მოსკოვის ოლიმპიადაზე უნიკალური გლობალური ექსპერიმენტი შედგა.

... ცნობისმოყვარე ექსპერიმენტატორი, დოქტორი ჰოპნერი კი განაგრძობდა „შტაზიში" პატაკების გაგზავნას თავისი დანაშაულებრივი ექსპერიმენტების თაობაზე: „ანაბოლური სტეროიდების გამოყენებას მრავალი ქალი შეუქცევად შედეგებამდე მიჰყავს, ეს ძირითადად ცურვაში გამოვლინდება. არის ვირილიზაციის, თმების კანის დაფარვის გადიდების, ხმის ტემბრის შეცვლის ნიშნები. ზოგიერთ ქალს სექსუალურ ცხოვრებაში ძლიერი ცვლილებები დაეტყო".

„შტაზის" დოკუმენტებიანი დღევანდელი სკანდალის განვითარებამ შეიძლება კიდევ მეტი საერთაშორისო ხასიათი მიიღოს, როცა აღმოსავლეთგერმანული ოხრანკის იმ ფაილების ჯერი დადგება, რომლებშიც გაანალიზებულია სხვა ქვეყნების დოპინგური მიღწევები. ცნობილია, რომ „შტაზის" დაყინებული ინტერესის ობიექტები „საბჭოთა მეგობრები" იყვნენ; ხომ არ მოიძებნება „შტაზის" ლაიფციგის მტაბ-ბინის სეიფებში კიდევ სსრკ-ს დოპინგური საიდუმლოებები?..

თარგმანი



19



32



9



21



24



**თარაზულად:** 4. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი, 5. წარსულში არგენტინელი ფეხბურთელი, ამჟამად ესპანეთში მომუშავე მწვრთნელი, 6. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გფრ-ის ფეხბურთელი, 11. კეთილი ნების თამაშების მასპინძელი პირველი ამერიკული ქალაქი, 12. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 18. წარსულში რუსი მოჭადრაკე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, 19. ჰოლანდიელი მეკარე *(ფოტო)*, 20. ახლო წარსულში ცნობილი ავსტრიელი მეკარე, 23. რუმინეთის ნაკრების ფეხბურთელი, 26. ერთგვარი თამაში, რომლის მიზანია ჯოხით შეაგდო ბურთი მოწინააღმდეგის კარში. 28. ხორვატიის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 31. ჩილელი ჩოგბურთელი, 32. რუსეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი *(ფოტო)*, 33. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 34. ვეტერანი ფეხბურთელის ბარქაიას მეტსახელი, 37. ლიბერიელი ფეხბურთელი, 38. 1986-90 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილე ბრაზილიელი ფეხბურთელი, 39. 80-იანი წლების ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 40. 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონი ურუგვაელი ფეხბურთელი, 43. 50-იანი წლების ცნობილი ურუგვაელი ფეხბურთელი, ფორვარდი, მსოფლიოს ჩემპიონი (გამოდიოდა „მილანში"), 45. ახლო წარსულში არგენტინელი ჩოგბურთელი ქალი.

**შვეულად:** 1. „ბარსელონას" ფეხბურთელი, 2. „მილანის" ლეგიონერი, 3. სუფთა გამარჯვება ძიუდოში, 7. ლატვიის სახელით მოთამაშე მოჭადრაკე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, 8. „დორტმუნდის" ფეხბურთელი, 1997 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი, 9. 70-იანი წლების ცნობილი პოლონელი ფეხბურთელი *(ფოტო)*, 10. ნავის ტიპი ნიჩბოსნობაში, 13. ქალაქი, რომლის ღირსებასაც იცავს კახი კალაძე, 14. ილეთის შეფასება ძიუდოში, 15. ცნობილი უკრაინელი ჭოკით მხტომელი, 16. წარსულში ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი. 17. იტალიის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 21. ფრანგი ჩოგბურთელი ქალი *(ფოტო)*, 22. „სიტის" ქართველი ფეხბურთელი, 24. „დორტმუნდის" ფეხბურთელი, მცველი *(ფოტო)*, 25. გფრ-ში მოთამაშე პოლონეთის ნაკრების ფეხბურთელი, 26. ნიგერიელი ფეხბურთელი, „ინტერში" მოასპარეზე, 27. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 29. კრივში საბრძოლო დროის მონაკვეთი, 30. წარსულში ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, მსოფლიოს ჩემპიონი, 35. „ნიუკასლის" შავკანიანი ფეხბურთელი, 36. „იუვენტუსის" ფრანგი ფეხბურთელი, 41. იალქანი, 42. ახლო წარსულში კიკინებიანი იტალიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 44. ბილიარდის ჯოხი, 46. ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი.

შეადგინა
დიმა ჯეჯელავამ (თბილისი)

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ბესტი, 3. შახნერი, 5. ბატსი, 7. ვიალი, 9. „ოსერი", 11. ვეა, 13. ამორი, 16. „ოდიში", 17. სკალა, 20. შილტონი, 21. ბრემე, 24. კუზნეცოვი, 25. ლეონიდასი, 27. დანია, 29. „ბოლონია", 31. „ლეგია", 33. „რასუნდა", 34. კარპიჩი, 35. ტარდელი, 36. რაი.

**შვეულად:** 1. „ბრედა", 2. ილინი, 3. შოლი, 4. ინსი, 5. „ბორდო", 6. იარნი, 8. ბებეტო, 10. კოპა, 12. ნიკე, 14. სკიავიო, 15. ფონტენი, 18. კოუბა, 19. ლინგი, 22. რიდლე, 23. მესხი, 26. კოლუმბია, 27. დრულაკი, 28. ალოიზიო, 29. „ბორუსია", 30 „არარატი", 31. ლეფლერი, 32. „ავსტრია".

## საჭადრაკო ამოცანა

ვ. ანტიპოვი (რუსეთი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**
**1. ლd3 მუქარა 2. ლh7X**
**1. ...ეh6 2. ლh7+ ე:h7 3. მg6+ მფg8**
**4. კb3+ ეd5 5. კ:d5X.**
მცდარი გაგრძელებაა 1. ...ეg6 2. ლ:g6 d3 3. ლh5+ კh6 4. ლ:h6X.

**ოლიმპიური რეზერვების ფარიკაობის ბავშვთა სპორტული სკოლა აცხადებს**

1984-86 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას ფარიკაობის შემსწავლელ ჯგუფებში. დამატებით შეისწავლება ცურვა შეღავათიან ფასებში. მსურველებმა მიმართეთ დირექციას 11-15 საათამდე. მისამართი: უნივერსიტეტის ქ. №6 (სასტუმრო „ამირანთან"); ტელეფონი 39-31-48.

სკოლის დირექცია

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე